

ანტონ ჩეხოვი

აღუბლის ბაღი

მიხეილ ქვლივიძის თარგმანი

დაიბეჭდა
ჟურნალ
"საბჭოთა ხელოვნებაში",
1982, № 4



მინის
თარგმანის
გამომცემელი
წილობრივი
საბჭოთა

ესარგებლობთ
ქუჩისაღის
ულეუბნით,
რომელიც დაცულია
ეროვნულ
ნიმუშობრივად.



მოქმედი პირები:

კ. მარჯანიშვილის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“. ანდა, ნამდვილად ბრწყინვალე, არაჩვეულებრივად პლასტიკური, დავით აღმაშენებლის კარის მასხარა — როგორ შემოდიოდა იგი მტრებისგან ოკუპირებულ თბილისში და როგორ ესიყვარულებოდა მას! ან კიდევ: მისი ავტიკა სპექტაკლში „რაკ ვინახავს, ველარ ნახავს“, რომელი ერთი დავასახელო! ყველას ვერც ჩამოთვლი.

...მოსკოვში რამდენიმე დღე ვიცხოვრეთ ერთ ნომერში.

— თქვენ აღიარებული რეჟისორი ხართ, — მეუბნებოდა იგი, — მაგრამ ახლა საზოგადო მოღვაწე უნდა გახდეთ. არტისტი საზოგადო მოღვაწე უნდა იყოს. ჩვენს ხალხს ასე სჭირდება. ჩვენი არტისტები ყოველთვის თავიანთი ქვეყნის პატრიოტთა წინა რიგებში იყვენ, თავიანთ საქმეს მშვიდობიანობის დროს სცენაზე თამაშით აკეთებდნენ, ომის დროს იარაღით ხელში ებრძოდნენ მტერს. ქართული სცენის მსახური შეიძლება საშუალო მსახიობი, საშუალო რეჟისორი იყოს, მაგრამ საზოგადო მოღვაწე უნდა იყოს — მოვალე! თქვენ კი საშუალო რეჟისორი არა ხართ. მე არ გეპირფერებთ. მე თქვენ როლს არა ვთხოვთ, იმდენი როლი მაქვს ნათამაშევი, რომ თაყვ გადამდის. მთავარია საზოგადო მოღვაწე იყოთ.

შემდეგ, ცოტა დალია და მითხრა: მარჯანიშვილის თეატრში დიურენმატის „მილიონერი ქალის ვიზიტს“ ტყუილად მოკიდე ხელიო. დიურენმატი და ბრუხტი ქართული თეატრისთვის უცხონი არიან, ქართველი მსახიობის ბუნება ადამიანის ხასიათისა და განცდების გადმოცემის რეალისტურ ხელოვნებაშიაო. აქტიორობა მისიაა, რომელიც საეკლესიო რიტუალებსა და დღესასწაულებზე უარის თქმის შემდეგ ადამიანებს კიდევ უფრო მეტად სჭირდებათო.

რამდენიმე დღე დაყვავით მაშინ მოსკოვში, მაგრამ საღამომობით თითქმის ფეხმოუცვლელად ვიჯექი ნომერში ვასო გომიშვილთან ერთად და ესაუბრობდით თეატრზე. იგი, როგორც ყველა ხანდაზმული ადამიანი, ვიღაცაზე და რაღაცაზე ნანწყინი იყო, სპექტაკლებზე სიარული არ უნდოდა, არავის ხედებოდა, ხშირად რეკავდა თბილისში და იგებდა შვილიშვილები როგორ უყავდა. ძალზე მტკივნეულად, დაუფარავად, დრამატულად განიცდიდა მეუღლის გარდაცვალებასა და მარტოობას.

გაკრძელება იქნება

ტექსტში ჩართულია მ. თუმანიშვილის ნახატები.

ლუბოვ ანდრეევნა — რანევესკია — მემულე ქალი
 ანა — მისი ქალიშვილი, 17 წლის
 ვარა — მისი ნაშვილები, 24 წლის
 ლეონიდ ანდრეევიჩ გაევი — რანევესკიას ძმა
 ერმოლაი ალექსეევიჩ ლოპახინი — ეპარქი
 ტროფიმოვი — სტუდენტი
 სიმეონოვი-პიშჩიკი — მემულე
 შარლოტა ივანოვნა — გუვერნანტი ქალი
 ეპიხოლოვი — კანტორის მოსამსახურე
 დუნიაშა — შინამოსამსახურე
 ფირსი — ლაქია, 87 წლის
 იაშა — ახალგაზრდა ლაქია
 გამელელი
 სადგურის უფროსი
 ფოსტის მოხელე
 სტუმრები, მსახურები
 მოქმედება ლ. ა. რანევესკიას მამულში ხდება

პირველი მოქმედება

დიდფაჩრებიანი ოთახი, რომელიც ოდესღაც ბაგევიბისთვის იყო განკუთვნილი. ერთ კარს ანას ოთახში გაუყვართ. თენდება. სიკა მზე ამოვა. მისია. ბაღში ალუბლები ჰყვავიან, თუმცა ჯერ კიდევ სიცივეა. ოთახის ფაჩრები ჩაქეტილია.

შემოდიან დუნიაშა და ლოპახინი. დუნიაშას ხელში ანთებული სანთელი უჭირავს, ლოპახინს — წიგნი.

ლოპახინი. — ძლივს ედირსა მატარებელს ჩამოსვლა. რომელი საათია?

დუნიაშა. — შალე ორი გახდება. (სანთელს ჩაქრობს) თენდება უკვე.

ლოპახინი. მატარებელს, სულ ნაკლები, ორი საათი დააგვიანდა. (ამტყნარებს და იზმორება) მეც კი სულელი ვარ: განგებ ადრე ჩამოვედი, თქვენებს რომ დახვედროდი და ჩამინებო! თანაც ხელს, სავარძელში! საწყენია, ღმერთმანი... ვერ გამაღვიძე?

დუნიაშა. — მე ვითქვრე, წახვედიო. (მიაყურადებს) მგონი მოდიან.

ლოპახინი. (ისიც უსმენს) — ჯერ სადაა! ბარგი უნდა მიიღონ... ოთახი რამე... (ბაუზა) შენმა ქალბატონმა საზღვარგაეთ ზუთი წელი გაატარა? ნეტა როგორია ახლა? კარგი ქალი კი იყო — უბრალო. გულსხმებიერი... მახსოვს, ბავშვობაში, — თხოუმეტი წლის ვიქნებოდი მაშინ, — განსვენებულმა მამაჩემმა, — მას ამ სოფელში სავაქრო უკონდა, — გამარტყა და ცხვირიდან სისხლა წამომაინდა... მაშინ რაღაც საქმეზე მოვედიო აქ და მამა ნახვამი იყო... ჰოდა, ლუბოვ ანდრეევნამ, ისე კარგად მახსოვს, სულ ახალგაზრდა იყო, გა-

საბჭოთა ხელმოწერა

№ 4 1982

აღუბლის ბაღი

კომედიის ოთხ მოქმედებად

მხდარი, ტანწერწერა, — პირსაბანთან მიმოყვანა, — ამ ოთახში იმ დროს ბავშვების ოთახი იყო, — და „ნუ ტირი, გლეხის ბიჭო, — მითხრა, — ქორწინებამდე გაგივლისო!“... (პაუზა) „გლეხის ბიჭო!“... მამაჩემი მართლაც გლეხი იყო, მუჟიკი, მე კი ახლა თეთრი ჟილეტი შაცვია და ყვითელი ბათინკებით დავიარებდი კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო ერთი კია, მდიდარი ვარ და ფული ბევრი მაქვს, თორე ისე, კაცმა რომ თქვას, სუფთა წულის მუჟიკი ვარ.. (წიგნს გადაფურცლავს) აი, ახლაც... წიგნს ვკითხულობდი და ვერაფერი გავიგე, კითხვის დროს ჩამძინებია... (პაუზა)

დუნიაშა, ძაღლები მთელ ღამეს ფხიზლობდნენ, ეტყობა, ბატონების ჩამოსვლას გრძნობდნენ.

ლოპახინი, დღეს სხვანაირი მჩვენებები, დუნიაშა, რა მოგდის?

დუნიაშა, ხელები მიკანკალებს, ღამის არი, გული წამოვიდეს!

ლოპახინი, მეტისმეტად აზიზი გახდი, გოგო! ბარონსახვით იცვამ, თმასაც სხვანაირად ივარცხნი... ეგრე არ შეიძლება, შენი ადგილი უნდა იცოდე. შემოდის ეპიზოდოვი თაიგულით ხელში. პიჯაკი და მაკრად გაპრიალეზული, საშინლად ჭრაკუნა ჩექმები აცვია. შემოსვლისთანავე წაიბორძიკებს და თაიგული ზელიდან გაუვარდება).

ეპიზოდოვი, (თაიგულის ასაღებად დაიხრება) —

აი, მებაღემ გამომატანა, სასადილო ოთახში დადგიოთ. (თაიგულს დუნიაშას გადასცემს)
ლოპახინი (კარისკენ მიმავალ დუნიაშას მიამხებებს) — ბურაბიც გამოიყოლე, ყელი გამიშრა!

დუნიაშა, კი, ბატონო (გადის).

ეპიზოდოვი, მაგარი სუსხია გარეთ, სამი გრადუსი მაინც იქნება. აღუბლები კი თეთრად გადაქანტილანს... არა, გეთყავა, რაც გინდა თქვათ და აქაურ კლიმატს მოწონების ღირსად ვერ ჩავთვლი! ჩვენს შავს არ შეუძლია, ასე ვთქვათ, ზუსტად შეესატყვისებოდეს... აი, ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ დავსძინო: სამი დღის წინათ ჩექმები შევიძინე და ისეთი ჭრაკუნე გააქვთ, არ ვიცი, რა ექნას... მასწავლეთ, რით გავსოხო!

ლოპახინი, თავი გამანებე!

ეპიზოდოვი, მარცხიანი კაცი ვარ საერთოდ. ყოველდღე რაღაც უბედურება უნდა შემემთხვას... თუმცა, მე ამას აღარ ვჩივი და მელიმება კიდევ. (შემოდის დუნიაშა, ლოპახინს ბურახს მიართმევს) წავდე მე... (სკამს დაეჯახება და წააქცევს) აი, ხედავთ! რა გითხარით? (თითქო გაუხარდება კიდევ) მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, მაგრამ ხომ დარწმუნდით, რა ვითარებაა? სხვათა შორის, ეს შესანიშნავიყავა. (გადის).

დუნიაშა, იცით, ერმოლაი პლექსერის, ეპიზოდოვმა ხელი მოხოვა.

ლოპახინი, მერე?



დუნიაშია. არ ვიცი, რა ვქნა. წყნარი კაცი ჩანს, მაგრამ ლაპარაკს რომ დაიწევს, ვერაფერს გაუგებ. თითქმის დალაგებულად ამბობს, ვრძნობიერადაც, მაგრამ ვერ მიხვდები, რისი თქმა უნდა... მე პირადად მომწონს ეგ კაცი, მას კი გავიყუებით ვუყვარვარ. ბედკრულია, თარხინია, სულ რაღაც ენართება — ჩვენიმბა მტესახელად „ბედოვლათი“ შეიარქვეს!

ლოპახინი (მიყურადებს) — მგონი მოდიან...
დუნიაშია. (აწრიალდება) — მოდიან?... ღმერთო, რა მომდის... ცომა ოფლმა დამახსია!

ლოპახინი, პო, მოდიან. წავიდეთ, მივეგებოთ...
ნება თუ მივინებს შენი ქალბატონი, ხუთი წელია არ ვუნახივარ.

დუნიაშია. (საშინლად ღელავს) — მუხლები მიკანკალებს... ვაიშე... წავიქცევი!

(გარედან მოახლოებული ეტლის ქვარუნი ისმის. ლოპახინი და დუნიაშია სწრაფად გადიან. ერთხანს სცენა ცარიელია. კედლებს იქით ალიაქოთი ძლიერდება, შემდეგ სცენას აჩქარებული ნაბიჯით ფრისი გადაქრის: იგი ჯოხს ეყრდნობა, ძველებური ღორევა აცვია და წოწოლა შლიაა ახერავს. გაუგებრად რაღაცას ბურტყუნებს... სცენის მიღმა ხმაური მატულობს. ვიღაც წამოიძახებს: „აქეთ მობრძანდით, ბატონებო, აქეთ!“ ოთახში შემოდის სამგზავროდ ჩაცმული ლუბოვ ანდრეევსა, ანა და შარლოტა ივანიშვილი, რომელსაც პატარა ფინია უკავია ხელში. მათ მოყვება თევზიანი, პალტოში გამოწყობილი ვარა. შემდეგ გამოჩნდება ბაევი, სიმეონოვა-პიშჩიკი, ლოპახინი და ბარგიტი დატვირთული დუნიაშია ქოლგით ხელში).

აქ ვაგვიროთ, დედა... გახსოვს ეს ოთახი?
ლუბოვ ანდრეევსა. (გახანგრძლივებით, თვალცრემლიანი) — როგორ არა, შეილო, ბავშვების ოთახია!

ვარა. რა სიცივეა, ზელები გამეყინა! (ლუბოვ ანდრეევსას) თქვენი თეთრი და ცისფერი ოთახები კი ისევ ისეა!

ლუბოვ ანდრეევსა (ანას) — ბავშვების ოთახია, საყვარელი შენაინიშვი ოთახია, პატარაობისას აქ მძინო ხოლმე... (ტირის) ჩემი თავი ახლაც პატარა მგონია... (გადააკოცინს ძმას, ვარას, შემდეგ ისევ ძმას მოეხვევა) ჩვენი ვარაც სულ არ შეცვლილა, ისევ ისეთია, მოლოჯანს ვაგს... დუნიაშია ვიცინავს. (დუნიაშას კოცნის).

ბაევი. მატარებელმა ორი საათით დაიგვიანა. საქმევა ეს?

შარლოტა. (პიშჩიკს) — ჩემი ფინია ნიგოჯსაც ქაშს.

პიშჩიკი (გავიკრებივით) — უფურე შენი (ყველანი, ანასა და დუნიაშას გარდა, გადიან)

დუნიაშია. დავბრუნდეთ თქვენს ლოდინში... (ანას პალტოს ვახდის, ქუდს ჩამოართმევს)

ანა. ოთხი დამე არ მძინებია... ისე გავიყინე, ტანში მურჩიალებს.

დუნიაშია. თქვენ რომ წახვედით, დიდმარხვა იყო, თოვლა, ახლა კი... ჩემო საყვარელო, ჩემო ლამაზო! (იცინის, კოცნის) იცით, როგორ მომენატრეთ?! გული გადაშლია თქვენს ლოდინში... მოიცათ... ახლავ გეტყვით, ერთი წუთიც არ შემძლია მოვთმინო...!

ანა (უინტერესოდ) — ისევ რაღაც იქნება...
დუნიაშია. კანტორის მოსამსახურე ხელი მოხოვა!

ანა. შენ ხომ სულ მაგაზე ფიქრობ (თმებს ისწორებს) სარკები შემომეფანტა გჯაში... (ძალზე დალილია, ფეხზე ძლივს დგას).

დუნიაშია. არ ვიცი, რა ვუპასუხო... ისე? ვუყვარვარ, ისე...

ანა. (თავი ოთახის კარს მისწერება სიყვარულით) — ჩემი ოთახი! ჩემი ფანჯრები! თითქოს არც მოვცილებივარ აქაურობას... ო, ნეტავ დაძინება შემეძლოს! მატარებელში თვალი არ მომიხუტავს. სულ მოუსვენრად ვიყავი...

დუნიაშია. გუშინწინ ტროფიმოვი ჩამობრძანდნენ...
ანა. (გაუხარდება) პეტია?

დუნიაშია. დიახ. აბანოში ძინავთ, იქვე ცხოვრობენ... თქვენები არ მინდა შევაწუხო... (თავის ჯიბის საათს დახედავს) გავაღვიძებდი, მაგრამ ვარვარა მიხალგონამ მიბრძანა, ხელი არ ახლო, ეძინოსო. (შემოდის ვარა. ქაშარზე გასაღებების აცმა ჰკიდია).

ვარა. (დუნიაშას) — უვა მოხარზე, სწრაფად! დედოკმ უვა მოითხოვა.

დუნიაშია. ამ წუთში. (გადის)

ვარა. მადლობა ღმერთს, ჩამოხვედით, ისევ შენს სახლში ხარ! (ეკალირება) ჩემი ანგელოზი ჩამოვიდა, ჩემი კარგი, ღამაში გოგო!

ანა. იცი, როგორ გავწავალდი!

ვარა. წარმომიდგენია.

ანა. ვნების კვირას გამოვემგზავრეთ... მაშინ კიდევ ციოდა. შარლოტას გჯაში ენა არ გაუჩრებია, ყბედობდა, თან ფოკუსებს გვაჩვენებდა... რა ჰიროდა ამკიდე?

ვარა. მარტო როგორ გაგიშვებდი. საყვარელო, ჩვიდმეტი წლისა ხარ!

ანა. პარიზში ჩავდივით და იქაც სიცივეა, თოვს...მე ფრანგულთან, მოგახსენება, მწურადალ ვარ... დედა მეხუთე სართულზე ცხოვრობს. მივედი და ვიღაც ფრანგები დამხედნენ: რამდენიმე ქალი, მოხუცი პადრე წიგნით... ოთახი თამბაქოს კვამლითაა გაუღვინილი, ძალზე მოუწონებელია. შემეცოდა დედაჩემი! ისე შემეცოდა, გულში ჩავიკარა და დიდხანს არ ვეშვებოდი... დედაც სულ შეაღვინებოდა და ტიროდა...

ვარა. (ცრემლი მოადგება) — ნუ იტყვი, ნუ!

ანა. ის ავარაკი, შეტონის ახლო რომ ჰქონდა, გაუყიდა. არაფერი დარჩენია საწყალს... მეც უკაპიკოლ ჩავედი, ძლივს მივადწიე პარიზამდე... დედა კი საქმის ბიბიურში არ არის სადილად დავსხებივით და უველაზე შვირფას კერძებს თხოვლობს, ფეხის ქირად ლაქიას მანეთიანზე ნაკლებს არ აძლევს! შარლოტაც იმას ბაძავს, იაშაც გათამაშებულა... მოკლდე, საშინელებაა იაშა ახლადღვანს ლაქია, ისიც ჩამოვიყვანეთ.

ვარა. ენაზე ის არაშადა!

ანა. რას შვრებით, პროცენტები გადაიხადეთ?

ვარა. მეტი არაა ჩვენი მტერი!

ანა. ღმერთო ჩემო...
ვარა. აკვიტოში მამულს გავიყიდანი.
ანა. ღმერთო ჩემო...



ლოპახინი. (კარში თავს შემოყოფს და დაიხმუჭ-
ლებს) — მუ-უ-უ! (მიმიკლება).

ვაჩა. (ატარდება) — უპ, შენი... თავში ჩაგაფარებ-
დი! (მუშტს მოუღერებს).

ანა. (ცაბას მოეხვევა, ჩემად) — ხელი არ უთხოვია?
(ცაბა თავს გაიჭნევს) ხომ გიყვართ ერთმანეთი,
რაღას უღივთ?

ვაჩა. შე მგონი, არაფერი გამოგვივა. ეგ კაცი საქმეს
გდაუოლილია, ყურადღებას არ მამკაცებს... რას
იხამ? ღმერთმა კარგად ამყოფოს, ოღონდ მომ-
ცილდეს და ნულარ დაშენახვება! შიელი ქვეყანა
ჩვენს ქორწინებაზე ლაპარაკობს, სინამდვილეში
კი... ასე მგონია, სიზმარში ვიყო... (ცილოს შეიცი-
ვლის) შენი ქინძისთავი პატარა ფუტკარს მკავს!

ანა. (ნაღვლიანად) — დედამ მიყიდა. (თავის ოთახ-
ში გადის და ბავშვივით ენამოჩნევიტ ლაპარაკ-
ობს) იცი, პარიზში პაერბურთით ვიფრინე!

ვაჩა. ჩემო საყვარელო! როგორ გამახარე, რომ ჩა-
მხოვედი! (შემოდის დენიაშა პატარა ჩაიდნით ხელში და
ყავის მომზადებას შეუდგება)

ვაჩა. (ანას ოთახის კარში დგას) — აი, დავდივარ,
შიელი დღე ვფუსფუსებ, ოჯახს ვუვლი, და სულ
შენზე ფიქრობ... რა კარგი იქნებოდა, ვინმე მდი-
ადარ კაცს რომ გაჰყოლოდი მეც მოვიხვენებდი.
სადმე უღაბნოში წვადილი ღვთის სადიდებლად,
მერე კივეში, მოსკოვში... სულ ვივლიდი და ვიე-
ლიდი, უყვლა სალოცავს მოვივლიდი... ო, რა დი-
დებული იქნებოდა!

ანა. ჩიტები გალობენ... რომელი საათია?

ვაჩა. სამი სრულდება. დაიძინე, საყვარელო!
(ანას ოთახში შედის) ო, რა დიდებული იქნე-
ბოდა! (შემოდის იაშა, ხელში პლედის და სამგზავრო ჩა-
ნთა უყავია)

იაშა. (ზრდილობიანად) — აქ შეიძლება გავიარო?
დენიაშა. ძნელი საცნობი გახდით, იაშა. უცხოეთი
მოგხლომათ.

იაშა. მამ... თქვენ ვინ ხართ?

დენიაშა. აქედან რომ გაემგზავრეთ, ამხელა ვიყა-
ვი... (ხელით აჩვენებს) დენიაშა, ფედორ კოხო-
ლოვის ქალიშვილი... გახსოვთ?

იაშა. უუფრე შენ, რა პუტკუნა ყოფილხარ?!
(მიმოხედავს და წილზე ხელს შემოხვევს. დენია-
შა შეპკივლებს, ხელიდან ლამაპი გაუვარდება.
იაშა სწრაფად გადის).

ვაჩა. (კარში გამოჩნდება, უკმაყოფილო სახით) —
რა მოხდა?

დენიაშა. ლამაპი გამოიტყდა.

ვაჩა. ეგ კარგი ნიშანია.

ანა. (თავის ოთახიდან გამოდის) — დედა უნდა გა-
ვფრთხილოთ, პეტია ტროფიმოვი აქ ყოფილა...
ქარა. მე უკვე დაუბარე, არ გააღვიძებენ.

ანა. (ჩაფიქრებული) — ექვსი წლის წინათ მამა გარ-
დაიცვალა... მერე ჩემი ძმა გრიშა მდინარეში დაი-
ხრჩო... შეიღო წლის ბავშვი იყო, ლამაპი და
გონიერა... დედაჩემმა მწუხარებას ვერ გაუძლო,
მიატყვა აქაურობა და გაიქცა... (შემკრთალი) ო,
როგორ მესმის მისი მდგომარეობა! (პაუზა) პე-
ტია ტროფიმოვი ჩემი ძმის მასწავლებელი იყო...
ნეტა არ გაახსენოს...

(შემოდის ფირსი, თეთრი კილტუ და პიკაი
აცვია)

ფირსი. ქალბატონი აქ ისახულებს. გამოსიქცე-
მანებს იკეთებს) ყავა მზად არი? (დენიაშას, გვა-
კრად) შენ, ეი! ნაღები?

დენიაშა. დამიღვა თვალი! (სწრაფად გადის)

ფირსი. (ყავის ჩაიდანთან ფუსფუსებს) დედულაია
თავისთვის, ბურტყუნით) პარიზიდან ჩამოსულან...
დიდი ბატონიც თავის დროზე პარიზში იყო... ეტ-
ლით ჩამობრძანდა... (იცივის)

ვაჩა. რა გაციენებს, ფირს?

ფირსი. რა ბრძანებ? (სიხარულით) ჩემი ქალბატონი
ჩამოსულა-შოქო, ვინცაღელ იმას! ახლა შეიძ-
ლება მოვკვდე კიდეც... (სიხარულისგან ატირდე-
ბა).

(შემოდის ლუბოვ ანდრეევნა, გაევი და პიშ-
ჩიკი. პიშჩიკს მუდის უსახელებო ახალბი და
შარვალი აცვია. გაევი შემოსვლისთანავე ხელე-
ბით და ტანით ისეთ მოძრაობას აკეთებს, თით-
ქოს ბილიარდს თამაშობდეს)

ლუბოვ ანდრეევნა. როგორ არი? მოიცა, გა-
ვიხსენო... დუაღეტოთ შუაში!

გაევი. კუთხეში ვჭრი... მე და შენ, ჩემო დოო,
ოღელდაც ამ ოთახში გვეძინა. ახლა კი, წარმოიდ-
გინე, ორმოცდათხუთმეცხა გავხდი.

ლოპახინი. რას იხამ, დრო გადის.

გაევი. (ვერ გაიგონებს) — ვისაო?

ლოპახინი. დრო გადის-მეთქი!

გაევი. ამ ოთახში ახლაც ბავშვთა საცვლების სუნის
ტრიალებს!

ანა. წავად, დავიძინებ... დამე მშვიდობისა, დედა!
(კოცნის)

ლუბოვ ანდრეევნა. დამე მშვიდობისა, შვილო,
გენაცვალის დედაშენი! (ხელებს უცოცნის) გიხა-
რიაან შენ რომ ხარ? მე პირადად გონს ვერ მოვ-
სულვარ!

ანა. ნახვამდის, ძია!

გაევი. (სახეს და ხელებს უცოცნის) — ღმერთი შე-
გწიოს, ჩემო კარგო! ვერ წარმოიდგენ, დედა-
შენს როგორ გავხარ! (დას) ამის ასაკში ზუსტად
ასეთივე იყავი!
(ანა ხელს ჩამოართმევს ლოპახინს, პიშჩიკს, გა-
დის და კარს გაიხურავს).

ლუბოვ ანდრეევნა. ძალზე დაღლილია.
პიშჩიკი. აბა, იმხელა გზა გამოიარეთ!

ვაჩა. (ლოპახინს და პიშჩიკს) — თქვენ რაღას აპი-
რებთ, ბატონებო? სამი საათი გახდა, სინდისიც
კარგი საქონელია!

ლუბოვ ანდრეევნა (გაევიცნება) — ისევ ისეთი
ხარ, ვარინკა! (მოეხვევა და კოცნის) ცოტაც გვა-
ცალე, უკავს დავლევ და ყველანი დავიშლებით.
(ქდება. ფირსი ფეხქვეშ პატარა ბალიშს დაუდებს)
გამადლობთ, ჩემო მოხუციო! (კოცნის)

ვაჩა. გავხედო ერთი, მარგი თუ გადმოტივითეს.
(გადის)

ლუბოვ ანდრეევნა. ნუთუ ეს მართლა მე ვარ?
(იცივის) ნეტა რას ვუზივარ? ისეთი სურვილი
მეკვს ახლა წამოვხტე, ვირბინო, ხელები ვიქ-
ნავ... (სახეზე ხელებს აიფარავს) მითხაროთ, გე-
თაყვა, იქნებ მძინავს? ღმერთია მოწმე, გაგიფე-
ბით მიყვარს ჩემი სამშობლო. მატარებელში ისე



ვღელავდი, ფანჯრისკენ ერთხელაც არ გამიხედია, სულ ვტიროდი და ვტიროდი... (ტრემლი მოურევია) უკვა მიანც დასაღვვია, მადლობელი ვარ შენი, ფირს! გმადლობთ, ჩემო კეთილი! ისე მიხარია, ცოცხალს რომ გხედავ!

ფირსი. გუშინწინ.
ლუბოვ ანდრეევნა. რაო?
გაევი. ყურთ აკლია.

ლოპახინი (ლუბოვ ანდრეევნას) — ლუბოვ ანდრეევნა! ხუთ საათზე ხარკოვში უნდა გავემგზავრო. ძალზე მწყინს, რომ ზეირიანად ვერც შეგხედეთ. ვერც დაგელაპარაკეთ... ისევ ისეთი ღამააო კი ხართ!

პიშჩიკი (მიმოდ სუნთქავს) — რას ამბობ, რას?! უფრო გაღამაზებულა! პარიზულ უაიდაზე აცვი... ემ, ჩემი თავი რა ვთქვი!

ლოპახინი. აი, თქვენი ძმა სულ ხეპრესა და მუჟიკს შეძახის, თუმცა ჩემთვის ამას მინიშნებლობა არა აქვს. ილაპარაკოს რამდენიც უნდა... შე კ მხოლოდ ის მინდა, ძველებურად გჭროდეთ ჩემი და თქვენი საკირაველი, გულსნამაჩუყებელი თვალები ისეთივე ნდობით შემომპყურებდნენ, როგორც ადრე მიუყურებდნენ... ღმერთო მოწყალეო! მაშინვე თქვენი შაპისა და ცხონებული მაშთქვენის უმა იყო, მაგრამ თქვენ პირად, დიას, თქვენ, — იმდენი სიკეთე გაგიკეთებიათ ჩემთვის, რომ ყველაფერი დავიწყე და ღვიძლი ნათესავით მიყვარხართ! ნათესავი რომელია, საყუთარ თავზე უფრო მეტად მიყვარხართ!

ლუბოვ ანდრეევნა. არ შემძლია ერთ ადგილზე ჯდობა, არა! (წამოხტება და აღმღვებულადღის) ამ სიხარულს ალბათ ვერ გადავიტან! მო, იციანთ, იციანთ, სულელი ვარ, დიას, სულელი... ჩემი მშობლიური კარადა! (კარადას კოცნის) ჩემი პატარა მაგდა...

გაევი. შენს არყოფნაში ძიძა გარდაიცვალა.
ლუბოვ ანდრეევნა. ვიცო, შემატუბონებს... ღმერთომა შეწყევალოს, საცოდავო.

გაევი. ბრუციანი ანასტასც მოკვდა. პეტროშმა კი მიმატოვა და ახლა ქალაქშია, პრისტავთან ცხოვრობს. (ჯიბიდან კოლოფს ამოიღებს და შაქარყინულს პირში ჩაიღებს. წუწნის).

პიშჩიკი. ჩემი ქალიშვილი, დევიკა... ისიც მოკითხვას გაითვლით.

ლოპახინი. რაღაც სასიამოვნო მინდა გითხრათ, (საათს დახედავს) თუმცა, ჩემი წასვლის დრო ახლოვდება, ვერ მოვასწრებ... მიანც ვეცდები, (პაუზა) თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ ალუბლის ბალი ვალდებში იყოლება და ოცდაორ ავჯისტოს საჭარო ვაჭრობაა დანიშნული. მაგრამ ამაზე ნუ იფარდებთ, ძვირფასო! არჩინად იყავით და შევიდოდ დიდიხნით! გამოსავალი არი. ჩემი პროექტი ასეთია... გთხოვთ, ყურადღებით მოისმინათ... თქვენი მამული ქალაქიდან სულ ოციოდე ვერსითაა დაშორებული, თან მოხერხებულ ადგილზეა, გვერდით რკინიგზა ჩაუდის... თუ თქვენ ალუბლის ბალსა და მდინარის მიმდებარე მიწას საავარაკო უზენადად დაუყოთ და მოავარაკებებს მიჰქირავებთ, წელიწადში, სულ ცოტა, ოცდახუთი ათასი შემოსავალი გექნებათ.

გაევი. მაპატიეთ, მაგრამ... ეს სისულელეა!
ლუბოვ ანდრეევნა. კარგად ამეხსენიო, ვიკვამოვ ვიკვამოვ რას ამბობთ.

ლოპახინი. მოავარაკენი, ყოველ წელიწადს, დესტინაში არანაკლებ 25 მანეთს მოგცემენ და თქვენი გადაწყვეტილება ახლავე რომ გააცხადოთ, დარწმუნებებით ვარ, შემოდგომაზე მიწის ერთი მტკაველიც არ დაგჩრებათ გაუქირავებელი, სულ დიდაცებენ... ერთი სიტყვით, მომოდოცავს, თქვენ გადარჩენილი ხართ!... ადგილმდებარეობა შესანიშნავია, მდინარე წყალუხვია... მართალია, აქაურობა ცოტა უნდა მოწესრიგდეს... ძველი ნაგებობები, მაგალითად, უნდა დაინგრეს, ეს სახლიც ასაღებია, არაფრად ვარგა... ალუბლის ბალიც უნდა გაიჩინოს...

ლუბოვ ანდრეევნა. რაო?... მაპატიეთ, მაგრამ თქვენ არაფერი გესმით. მთელ ჩვენს მარტოში საინტერესო და გამორჩეული რამ თუ არსებობს — ეს ჩვენი ალუბლის ბალია!

ლოპახინი. საინტერესო და გამორჩეული თქვენი ბალი მარტო იმითაა, რომ დილია, ალუბალი კი მოსავალს ორ წელიწადში ერთხელ იძლევა, თან კაცმა არ იცო, სად წაიღო, არავინ ყიდულობს!

გაევი. ეს ბალი თვით „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მოხსენებული!

ლოპახინი. (საათს დახედავს) — რაღაც უნდა მოვიფიქროთ, საერთო აზრი უნდა გამოვწახოთ, თორემ ოცდაორ ავჯისტოს ალუბლის ბალსაცა და მთელ თქვენს მამულს აუქციონით გაყიდანი გაბედეთ და გადაწყვიტეთ, ბატონებო! გეიცებთ, სხვა გამოსავალი არ არსებობს! არა და არა!

ფირსი. ძველად, ასე 40-50 წლის წინათ, ალუბალს ჩირად ამზობდნენ, ამწილებდნენ, ამეყავებდნენ, მურაბას ხარშავდნენ. მახსოვს...

გაევი. დავცავალე, ფირს.
ფირსი. მახსოვს, ალუბლის ჩირს მოსოვსა და ხარკოვში ფურგონებით ეწიღებოდნენ... ქვეყნას ფული კიოდებოდა... თან მაშინდელი ჩირი ტკბილი იყო, სურნელოვანი... ზერხა იყოდენ ისეთი...

ლუბოვ ანდრეევნა. სადაა მერე ის ზერხი?
ფირსი. დაივიწყეს... არავის ახსოვს.

პიშჩიკი. (ლუბოვ ანდრეევნას) — პარიზი, რაო? როგორია? ბაუა თუ გიქამათ?

ლუბოვ ანდრეევნა. ნიანგი ვიახელით.

პიშჩიკი. უუურე შენ!

ლოპახინი. ძველად სოფელში მარტო ბატონები და გლეხები ცხოვრობდნენ, ახლა მოავარაკენიც გაჩნდნენ. რომელი ქალაქიც გინდა დამისახელოთ, სულ პატარაც რომ იყო, ავარაკების ოლქშია მოქცეული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოცოდე წლის შემდეგ მოავარაკეთა მოდგმა კიდევ უფრო მომრავლდება... ახლა მოავარაკე მარტო ჩაის მიირთმევს აივანზე, მალე კი შეიძლება ისიც მოხდეს, რომ მან თავის ერთ დესტინა მიწაზე მურწინება გაიჩინოს და მაშინ თქვენი ალუბლის ბალი ნამდვილად ბარქიანის და თვალწარტაცი გახდება...



გ ა ე ვ ი (აღშფოთებულია) — რა სისულელეა!
(შემოდინა ვარა და იაშა)

ვ ა რ ა. დედიკო, თქვენ სახელზე ორი დეკემბა მოსული. (ქმარზე ჩამოკიდებული აქმიდან ერთ ვახლებს შეარჩევს და ძველებურ კარადს კრიალით გამოაღებს) აი!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. პარიზიდანა.. (წაუთხოვავად დახვეს) პარიზის საქმე მოთავებულა.

გ ა ე ვ ი. იცი, ლუბა, ეს კარადა რა ხნისა? ამ ერთი ეკირის წინათ კვედა უჭრა გამოვადე და მის ვიკრზე ამოტყფურული თარიღი აღმოვაჩინე... ზუსტად ასი წლის ყოფილა როგორი საქმეა, პა? იუბილედ შეიძლება გადაუხადოთ მართალია. უსულო საგანია, მაგრამ მაინც... წიგნების კარადა!

პ ი შ ი კ ი. (გაყვირებული) — ასი წლის ყოფილა, უყურე შენ?

გ ა ე ვ ი. დიახ... კარგი კმნილებია! (კარადს ხელით მოვალერსება ძვირფასო, დიდად პატივცემული კარადაჲ მიეხადებო შენს არსებობას, რომელიც გაერ უავე საუკუნეზე მეტია სიკეთისა და სამართლიანობის ნათელ იდეალებს ემსაზრებოდა! ასი წლის მანძილზე ერთი წამითაც არ მიჩუმებულა შენი უსიტყუო ძახილი, ნაყოფიერი შრომისკენ რომ მოუწოდებდა ჩვენი ოჯახის მრავალ თაობას... (ცრემლი მოერგვა) უნერგავდა მათ მხნობას, უყეთესი მომავლის რწმენას და თვითელ ჩვენგანში სიკეთისა და სასოგადოებრივ თვითშეგნების იდეალებს აღვივებდა... (პაუზა)

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. დიახ.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. ისევ ისეთი ხარ, ლეონიკა

გ ა ე ვ ი. (ცოტა უხერხულად გრძობს თავს) — მარჯვენა კოფრეში ვურტყავ! დუპლეტით შუაში!

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. (სათის დახედავს) — მამაკეთ. ჩემი წასვლის დროა!

ი ა შ ა. (ლუბოვ ანდრეევანს წამალს მიაწვდის) — აბებს ახლა მიირთმევ?

პ ი შ ი კ ი. წამლის სმას თავი გაანებეთ, ძვირფასო! არც გაწყენთ, არც გარგებთ.. მომეცით აქ... (აბებს გამოართმევს, ზელის გულზე დაიყრის, სულს შეუბერავს, პირში გადაუძახებს და ბურანს დააყოლებს) აი, ასე!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. (შეშინებული) — გაგიყდი?

პ ი შ ი კ ი. ერთიც არ დამიტოვებია!

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. ეს რა ღორმუტობაა!
(ყველანი იცინიან)

ფ ი რ ს ი. ეგენი ჩვენთან ყველიერზედაც იყვნენ და ნახევარი ვედრო კიტრი შეჰამეს... (ბურტყუნებს)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. რა მინდაო?

ვ ა რ ა. სამი წელია ეგერ ბურტყუნებს, მიეჩრეთ.

ი ა შ ა. ხანდაზმულ ასაკშია.
(შემოდის შარლოტა. ჩხირივით გამხმარ ტანზე თეთრი კაბა შემოტმასნია, ქმარზე ღორნეტო კეილია)

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. შარლოტა ივანოვან ბოდოშს ვიხდი, რომ ამ ორომტრიალში რიგვიანდ ვერ მოგესალმეთ. ნება მიბოძეთ... (დაიხრება, ხელზე უნდა ემთხვოს)

შ ა რ ლ ო ტ ა. (ხელს გამოსტაცებს) — ა-ა-აა! ხელზე რომ გაეცინინოთ, მეგრ იდეაზეც მიყრდნობთ. მეგრე მხარზე და ასე შემდეგ...
გ ა ე ვ ი. (მეორე მხარეზე)

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. ბედი არ მწყალობს! (ყველანი იცინიან. შარლოტას ფოკუსი მაინც გაჩვენეთ!)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. პო, მართლაც, შარლოტა... შარლოტა ა. რა საჭიროა, შეიძლება. (გაღის)

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. აბა, წავედი. სამი კვირის შემდეგ კიდევ გინახულებო. (ლუბოვ ანდრეევანს ხელზე კოცნის) ჭერჭერობით არ მშვიდობოთ, ძვირფასო! (გაეცინა) ნახვამისი (ხელს ჩამოართმევს ვარას, შემდეგ ფირსს და იაშას) რომ იცოდეთ, როგორ არ მინდა წასვლა.. (ლუბოვ ანდრეევანს) აგარაკების თაობაზე თუ რამეს გადაწყვეტთ. ამ თას მაინც თამედ შემიძლია გასხსობო...

ვ ა რ ა. (გაბრუნებული) — ბოდოს, წადით, თუ მიდიხართ!

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. მივდივარ, მივდივარ... (გაღის)

გ ა ე ვ ი. ხეპრე, თუმცა, პარდონ... ვარას სასიძოვ გახლავთ.

ვ ა რ ა. ზედმეტი ლაპარაკი ნუ იცით, ძიან!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. რა უჭირს, გენაცვალე? თუ გაუყვობ, ნამდვილად გაიზიარდება. ლოპახინი კარგი ადამიანია.

პ ი შ ი კ ი. მართლაც, გულახილად რომ ვთქვაო, ღირსეული ადამიანია... ჩემი დაშენკაც იტყვის ხოლმე... ათას რამეს ამბობს... (ბერინესს ამოუშვებს და უმაღ გველიძება. ლუბოვ ანდრეევანს) — პო, დიდად პატივცემულო... ორას ორმოცი მანეთი კი უნდა მახესხობო... ზვალ გირავნობის პროცენტი მაქვს გადასახდელი...

ვ ა რ ა. (შეშინებული) — არა ვაქვს, არა!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. მართლა არა მაქვს ფული.

პ ი შ ი კ ი. მოითქვება. (იცილით) მე იმდენ არასოდეს არ ვკარგავ... ზოგჯერ, შვონია ცუდადა ჩემი საქმე, ვილუბები, მაგრამ გავიხედავ, ჩემს მიწაზე რკინიგზას გაუთავნდა და ფულის განჩნდება.. მეგრე კიდევ რაღაც მოხდება, დღეს ან ხვალ ... შეიძლება დაშენკამ ორასი ათასი მოგოს... მას ხომ ლატარიის ბილეთი აქვს...

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. ყავა დავლიეთ, ახლა შეიძლება დავისვენოთ კიდევ.

ფ ი რ ს ი. (გავეს ჯავრისით ტანსაცმელს უწმენდავს, საყვედურით) — ისევ სხვა შარვალი ჩავიცვიათ... რა გიყოთ, არ ვიცი!

ვ ა რ ა (ხმადაბლა) — ანას ძინება. (ფანჯარას ფრთხილად გამოაღებს) მზეც ამოსულა. აღარ ცივა... უყურეთ, დედიკო, რა ღამაში ხეებია დმერთო, რა მარიაა შოშიებიც უსტყვენ.

გ ა ე ვ ი (მეორე ფანჯარას გამოაღებს) — ბაღი მთლად გათეთრებულია... შეხედე, ლუბა! ეს გრძელი ხეივანი სულ პირდაპირ მიემართება, ღარივით სწორია და ღამით, მთვარისაში ლამაზაებს ხოლმე. გახსოვს?

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. (ფანჯრიდან ბაღს გასცქერის) — ო, ჩემო ბავშვობა, ჩემო სიწმინდე... ამ თაობაში პატარაობისას მეძინა, აქედან ბაღს გავცქეროდი... ჩემთან ერთად, ასე მეგონა, ყოველ დღით ბედნიერება იღოქებდა და ბაღიც მამინ ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ახლა... (სიხარულისაგან იცინის) თეთრი, სულ თეთრი.. ო, ჩემო!



მო ბალო! პირქუში, ავდრიაანი შემოდგომისა და სუსხიანი ზამთრის შემდეგ შენ ისევ ახალგაზრდად გამოიყურები, ისევ ხალისით სავსე ხარ და კეთილი ანგელოზების თვალი ისევ დაგუყურებს ზემოდან... ო, ნეტავ შემოდგომის მოვიცილო ის ნაღველი, გულზე რომ მაწევს! ნეტავ შემოდგომის ჩემი წარსულის დავიწყება!

გ ა ე ვ ი. დიახ... უცნაურია, მაგრამ ამ ბაღსაც ვაღლებში გაუვიდა.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. შეხედეთ; შეხედეთ! ხეებს შორის განსვენებული დედაჩემი დადის! (გახარებული იცინის) ის არი, ის!

გ ა ე ვ ი. სად?

ვ ა რ ა. ქარი გწერიათ, დედიკო, რას ამბობთ?

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. არაინაა, მომჩვენა... აგერ იქ, მარჯვნივ, ფანატურთან გადასახედი რომ არი, ალუბლის ხეა დახრილი... ქალს მივახსვავს. (შემოდის ტროფიმოვი. სტუდენტის მუნღირი აცვია, ძველი და შეღებული. სათვალე უკეთია) რა საკვირველი ბაღია! ეს თოვლიც რა ლამაზია, თეთრ ყვავილებს გავს! ცაც ისეთი-ლურჯია...

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. ლუბოვ ანდრეენა... ლუბოვ ანდრეენა მოიხედავს! მე მარტო მოგესალმებით და წავალ. (ხარბად უკოცნის ხელებს) ხვალამდე მოიცადეთ, მიიხრეს, მაგრამ გულმა ვერ მომიშინა... (ლუბოვ ანდრეენა გაკვირვებული მისჩერებია)

ვ ა რ ა. ეს პეტიაა, ტროფიმოვი.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. დიახ, ტროფიმოვი გახლავართ, თქვენი პატარა გრიზის მასწავლებელი. ვერ მიცანით?

(ლუბოვ ანდრეენა გადაეხვევა და ტირის)

გ ა ე ვ ი. კმარა, ლუბა... არ გინდა...

ვ ა რ ა. (ისევ ატირდება, ტროფიმოვის) — აჟი გითხარით, მოიცადეთ-მეთქი!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. ჩემი გრიზა... ჩემი პატარა ბიჭი...

ვ ა რ ა. რა ექნათ. დედიკო, ღვთის ნება ყოფილა.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. (ატირდება, დაყვავებით) — დამშვიდდით, დამშვიდდით...

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. (უბნობ ტირის)) — შეილი დამეხრჩო... შეილი... რატომ? რისთვის? (ხმას დაუწევს) იმ თაბში ანას ძინავს, მე კი ხმამაღლა ვლაპარაკობ... რა მოგივიდათ, პეტია? ეგრე რამ შეგცვალათ? დაბერებულხართ, დაუნსოებულხართ...

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. (ჩაიციენებს) — ამასწინათ, მატარებელში, ვიღაც დედაცამა „გაქუტული ბატონი“ მიწოდა.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. მაშინ სულ ბავშვი იყავით... სტუდენტი... ახლა კი თმა გაგცვენიათ, სათვალესაც ატარებთ... ნუთუ ისევ სტუდენტი ხართ? (კარისკენ მიდის)

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. ეტყობა, სიბერემდე სტუდენტი დავრჩები.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. (მას კოცნის, მერე ვარას გადაეხვევა) — წადით ახლა, მოიხვენეთ... შენც მობერებულხარ, ლეონიდა.

პ ი შ ჩ ი კ ი. (გამოეკიდება) — მაშ ასე, ახლა ვინძინებთ... ეპ, ჩემი სიბერე რა ვთქვას! (უბნობს) შენც ხავს!, მე, ბატონებო, ამაღამ თქვენთან დავრჩები... (ლუბოვ ანდრეენას) ხალ კი, საუყარელო თუ შეიძლება... ორას ორმოცი მანეთი...

გ ა ე ვ ი. ისევ თავისას გაიძახის!

პ ი შ ჩ ი კ ი. ორას ორმოცი მანეთი... პროცენტები მაქვს გადასახდელი...

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. არა მაქვს ფული, ძვირფასო, არა!

პ ი შ ჩ ი კ ი. დაგიბრუნებთ, საუყარელო, რა დიდი თანხა ეგ არი?

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. პო, კარგი. ჩემი ძმა მოგცოტო... ლეონიდა, მიეცი.

გ ა ე ვ ი. მამა უცხონდა, დიახ! ამ წუთში მივართმევ! ლუბოვ ანდრეენა. აბა რას იზამ, უნდა მივცეთ. კირდება კაცს. აჟი თქვა, დაგიბრუნებთო, (ლუბოვ ანდრეენა, ტროფიმოვი, პიშჩიკი და ფირსი გავლენ. სცენაზე რჩებიან: გავეი, ვარა და იაშა)

გ ა ე ვ ი. ჩემი დაიკო, ეტყობა, ვერ გადაეჩვია ფულების ფლანგავს. (იაშას) მომიცილო, გთაუყვა, ქათმის სუნი გდის!

ი ა შ ა. (ჩაიციენებს) — თქვენ კი, ბატონო, ისევ ისეთი ხართ, როგორიც იყავით.

გ ა ე ვ ი. (ვარას) — ვინაო?

ვ ა რ ა. (იაშას) დედაშენი ჩამოსულა სოფლიდან. გუშინდელი აქეთია სამარხულაში ზის. შენი ნახვა უნდა.

ი ა შ ა. აი, დარდი!

ვ ა რ ა. რა უნამუსო ხარ!

ი ა შ ა. ძალიანაც მჭირდება! ხვალაც შეეძლო მოსვლა! (გაღდის)

ვ ა რ ა. დედა მართლაც ისეთია, როგორიც იყო, სულ არ შეცვლილა... თავის ნებაზე რომ მიუშვა, მთელ სახლს გაანიავებს.

გ ა ე ვ ი. პო... (პაუზა) ასე, დიახ... ავადმყოფობის მოსარჩენად კაცს ნაირნაირ წამლებს რომ ასმევენ, ეს იმას ნიშნავს, ავადმყოფობა მოურჩენელია... სულ ვფიქრობ, გამოსავალს ვეძებ... ასე მგონია, ჩვენი გასპირიდან თავის დასაღწევად უამრავი საშუალება არსებობს და სწორედ ეს მათეტიკებიანებს, რომ გამოსავალი არ არსებობს და არც შეიძლება იყოს... (პაუზა) რა კარგი იქნებოდა, ვინმეს რომ ჩემთვის შემეკიდებოდა დაეტოვებინა... არც ის იქნებოდა უჩიგო, იაროსლავლში წავსულიყავი დედაჩემთან, გრაფინიასთან და მასთან ურთიერთობა აღმედგინა... ის ზომ საოცრად მდიდარია, თავზე საურელი ფული აქვს!

ვ ა რ ა. (ტირის) — რა მოხდება, ლმერთო, ერთხელ ჩვენც მოგვხდებო მოწყალების თვალით!

გ ა ე ვ ი. ნუ ღრიალებს!.. დედაჩემი მდიდარია, მაგრამ ვერ მოუწლებია, რომ ჩემი და უზრალო მოხელეს გაჟუვა და არა ვინმე თავადმევიძილს. (კარში ანა გამოჩნდება)

თან, რაც მთავარია, ჩემი და მაინცდამაინც წესიერი უოფაქცევით არ გამოირჩევა. მართალია, კარგად ადამიანია, კეთილი, ძალიან მიუყარს კედელს; მაგრამ რაც უნდა ვეცადო და რამდენიმე გახამართლებელი საბუთიც არ უნდა მოვიყვანო, იგა



მინც ბიწიერი არსებაა! დაბს ეს გარეგნობაზეც
მეტყობა: ყველ მის მოძრაობაში უზნეობა გამო-
სკვივის.

ვარა. (ჩუმად) — ჩუმად... ანა გისმენ.
ვაევი. ვინა? (პაუზა) დასწყევლოს ღმერთმა, მარ-
ჩვენ თვალში რაღაც ჩამოხდა, ვერ ვხედავდები...
ჰოდა, იმას ვამბობდი... ხუთშაბათს ხოლქო სასა-
მართლოში სხდომას ვესწრებოდი...
(შემოდის ანა)

ვარა. რატომ არ გმინავს?
ანა. ვერ ვიძინებ, არ შემოდის.

ვაევი. ჩემო პატარავ... (ანას სახეს და ხელებს უკო-
ცნის) ჩემო შვილო! (გრემლი მოგრევა) დისშვილი
კი არა, ჩემი მფარველი ანგელოზი ხარ! ყველა-
ფერი ხარ ჩემთვის! გეფიცები, მართალს ვამბობ!

ანა. მჭერა, ძია. შენ ყველას უყვარხარ, ყველა პა-
ტივს გცემს, ოღონდ... თუ ღმერთი გწამს, ამდენს
ნუ ლაპარაკობ... ჩუმად იჯივი! აბა, რა იყო ის,
დედაჩემო ახლა რომ თქვი? რაში დაგვირდა?

ვაევი. მართალი ხარ, შვილო, მართალი! (ანას ხე-
ლებში სახეს ჩარგავს) ეს საშინელებაა! ღმერთო,
შენ შემეწიე და დამოფარე!.. დღესაც, აი... კარადას
რაღაც სისულელეებს ვეუბნებოდი. ეს ხომ აბ-
სოლუტური სისულელე იყო?! სიბრყვე და ტუ-
ტუტობა!.. ავამთავრე თუ არა, ხელად მიგვფიცი,
რომ სისულელეა!

ვარა. სწორია, ძია. ნაკლები უნდა ილაპარაკო.
ანა. ეს შენთვისაც უყეთისა, აღარ აღუდღები.

ვაევი. ჰო, კარგი, გავჩუმდები! ხმას აღარ ამოვიღებ!
(ანას და ვარას ხელებს უკოცნის) აი, ხედავთ. ჩუ-
მად ვარ... ოღონდ ორიოდ სიტყვა საქმეზე მათქ-
მევიწიეთ... ჰოდა, იმას ვეუბნობდი... ხუთშაბათს სა-
ოლქო სასამართლოს სხდომას ვესწრებოდი. შე-
ეუარებო რამდენიმე კაცი. ვისაუბრეთ, აქეთური
ვთქვი, იქითური და ბოლოს, წარმოიდგინეთ,
მგონი გამოსავალს მივაგვიწი... თამასუქით რომ აგ-
ველო სესხი, ჰა? მაშინ ხომ პროცენტებსაც გა-
დავიხდიდით?

ვარა. ღმერთო, შენ შეგვეწიე! (ტირის)

ვაევი. საშაბათს ისევე წავალ, იმ ხალხს მოველაპა-
რაკები. (ვარას) ნუ ღრიალებ! (ანას) დედაშენი კი
ლოპახინს მეთათბირობს. ის, რასაკვირველია,
უარს არ ეტყვის. შენ ცოტა მოისვენე, მოსული-
ერდი. და მერე იაროსლავში წაიდი, იქნებ ბებია-
შენი დაიყოლიო... ასე, ერთობლივ ვიმოქმედოთ,
სამივე მხრიდან, და... ჩვენს ბედს ძალი არ და-
ჭყუტებს! პროცენტებს ნამდვილად გადავიხდით და-
რწმუნებული ვარ! (პირში შეჭარბინულს ჩაიღებს
და წუწნის) პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, რასაც
გინდათ დაგეფიცებთ, რომ ჩვენს მამულს ეგერი
ვერ გაუვიდინე! ვერა! (აღიგზნება) საკუთარ თავს
გეფიცებით, ჩემს კაცობას ვფიცავ... აი, ჩემი ხე-
ლი! დაკარგი უნამუსო კაცი ვიყო, თუ საქმე აუ-
ქციონამდე მივიყვანო!

ანა. (სახე გაუბრწყინდება, ლამის ბედნიერია) — რა
კარგი ხარ, ძია, რა ჰკვიანი! (მოგებვეა) როგორ
რომეუშა გულზე! სულ დავმშვიდდი... დავმშვიდდი
კი არა, ბედნიერი ვარ!
(შემოდის ფირსი)

ფირსი. (საკვედურით) — ღვინდი ანდრეი! ღმე-
რთი არა გწამთ? როდისღა უნდა მარტყენოთ!
ვაევი. ახლავე... შენ წაიდი, ფირს, მე სწუთონ გავი-
ხდი... აბა, პავშევო, დეიძინო! ხელს ყველა-
ფერს დაწერილებით მოგახსენებთ. (კოცნის ანას
და ვარას) მე, ჩემო ბატონო, ოთხმოციანი წლების
წარმომადგენელი ვარ! იმ პერიოდს, მართალია,
ახლა პატივს აღარ სცემენ, მაგრამ, გამოგვიტყუ-
ებით, და ჩემი შეხედულებების გამოცხოვრებაზე
არაერთი უსიამოვნება შემხვედრია. ტყუილად კი
არ ვუუარავარ გლახობას, გლახის ხასიათს გაგე-
ხა უნდა! უნდა იცოდეთ, საიდან და როგორ...

ანა. ისევე დაიწვი, ძია?
ვარა. გაჩუმდი რა, ძია!

ფირსი. (უცმაყოფილოდ) — ღვინდი ანდრეი!
ვაევი. ჰო, კარგი, მოვდივარ... (კალებს) წადით ახ-
ლა, დაიძინეთ... კუთხიდან ვურტყავ! მარჯვენა
ლუწაში ვდებ! დუპლეთით შეუაში! (გაევი გადის
ფირსი მას მიჰყვება)

ანა. ახლა მშვიდად ვარ... იაროსლავში, რასაკვირვე-
ლია, არ წავალ. რადგან ბებიაჩემი არ მიყვარს,
მაგრამ გული მინც დამიშვიდდა... ვენაცვალე
ძიას, ოქრო კაცია! (სკამზე ჩამოჯდება)

ვარა. დაძინება კი საქროა. წავედი მე... (მიდის,
ჩერდება) უშენოდ აქ სხვათა შორის, ერთი უსია-
მოვნება მოხდა. ჩვენს ძველ საქალაქოში, — მო-

გუხსენება, იქ მხოლოდ მოხუცი მსახურები ცხოვ-
რობენ: ფეფი, პოლინა, ევსტიგნეი და კარპი...
ჰოდა, ამათ თურმე ვიღაც უცხო ხალხი მოჰყა-
დათ სტუმრად და დამეს ათვიანებდნენ, ეს რომ
გავიგე, გავჩუმდი, მაგრამ მერე ამ უნამუსოებმა
ხმა დამიყარეს, თითქო მე მეთქვას, სტუმრებს
მუხუდოს მეთი არაფერი აკამოთო! წარმოგიდგე-
ნია? ვითომ ეგეთი ძუნწი ვარ! ეს სულ ევსტიგ-
ნის ოინებია!... კარგი-თქვა, ვიფიქრე, თუ ასეა,
მაცალეთ-მეთვი. დავუძახე ევსტიგნეს... (ამოწინ-
არებს) დავუძახე და ვეუბნები: შე სულლო-
მეთქი... (ანას შეხედავს) ანიკო! (პაუზა) ჩანძი-
ნებია! (ხელზე მოკიდებს) წამოდი, გენაცვალე,
ლოგინში ჩავაწვენ... (მიჰყავს) წამო, საუვარდლო,
წამო... (გაღიან).

(გარედან მეცხვარის საღამურის ხმა ისმის — იგი
დაბურულ ფანჯრებში ატანს. შემოდის ტროფი-
მოვი, ვარას და ანას დაინახავს და შეჩერდება)

ვარა. (ტროფიმოვს)—ჩუმად... დაიძინა... (ანას) წა-
მოდი, გენაცვალე.

ანა. (ძილდუნანშია, ჩურჩულით) — ო, როგორ
დავიღალე... რა სციკვეა, ღმერთო... ძია, საუვარე-
ლო... დედა...

ვარა. წამოდი, გენაცვალე, წამო... (ანას ოთახში შე-
დის)

ტროფიმოვი (გულაუწყებელი) — შენ შემოგე-
ლე, ჩემო კარგო... ჩემო გავაფხულო...

ფარდა



ტრიალ მინდორში ძველი, მიტოვებული სამლოცველოა. მის გვერდით — ქა, რომლის ირგვლივ უწყსრობად მიმოყრილი ქვება (როგორც ჩანს, ყოფილი საფლავის ლოდები)... იქვე წვიმებისაგან გათეთრებული, მორყეული ძელსკამი დგას. ხელმარცხენ — გაევის მამულისაგან მიმავალი საფრეზე გზაა, მის ვასწვრივ — ალვის ხეები, ხოლო მათ მიღმა — ალუბის ბაღია... ორს, სკენის სიღრმეში, ტელეგრაფის ბოძების წყობა პირობონტისკენ მიემართება, სადაც გაურკვეველი ტხელი ხაზი — დიდი ქალაქის სილუეტო მოჩანს.

მზე საცაა ჩავა, შარლოტა, იაშა და დენიაშა ძელსკამზე სხედან. იქვე ეპიზოდური გიტარას ავლარუნებს. ყველანი ღიქრს მისცემიან. შარლოტას მამაკაცის ძველი კარტუზი ახურავს, ხელში სანადირო თოფი უჭირავს და ბალთას უყირკიტებს — თასმის დამოკლება უნდა...

შარლოტა. (ჩაქვირებული) — პასპორტი, როგორც ასეთი, არ გამანია, ამიტომ არ ვიცი, რამდენი წლისა ვარ. ჩემი თავი სულ ახლავარდა მერნო, პატარა რომ ვიყავი, ჩემი მშობლები ხშირად იარმუჯაზე დადიოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ. კარგე წარმოდგენები იყო. მეც ვმონაწილეობდი: საღლომორტალესა და სხვა ამგვარ რამეებს ვაკეთებდი... მშობლები რომ დამეხოსენ, ერთმა გერმანელმა ქალმა შემეკვლეა. წერაკითხვას მასწავლავდა. ეს, რასაკვირველია, კარგია. მერე გავიწარლდე და გუვერნატობა დავრეკე... ისე კი, საიდან ვარ ან ვინ ვარ, — წარმოდგენა არა მაქვს! ისიც არ ვიცი, ჩემი მშობლები ვინ იყვნენ... იქნებ, ცოლ-ქმრობაც არ ჰქონიათ... (ჭიბიდან კიტრს ამოიღებს და ჩაბიჩავს) მოკლად, არაფერი ვიცი! (პაუზა) ზოგჯერ მინდა ვინმეს დაველაპარაკო, მაგრამ არავინაა, სულ მარტო ვარ.

ეპიზოდოვი. (გიტარას უკრავს და მღერის) — „რას დავებებ ხალხის კორებს, სულ არ ვნაღლობ. იტყვის ვინ რას...“ მინც სახიამოვნოა მანდალინაზე დაკვრა!

დუნიაშა. ეგ მანდალინა კი არა, გიტარაა. (სარკვე-სი იხედება და იბუღებს)

ეპიზოდოვი. გაგუებით შეუვარებული კაცისთვის ეს სწორედ რომ მანდალინაა! (მღერის) „ოლონდ გული შენი უხვით დაიდაგოს და დაიწვას...“ (იაშა ხმას აუწყობს)

შარლოტა. რა საშინლად მღერიან... ტურების ჩხვილი გეგონება!

დუნიაშა. (იაშას) — უცხოეთი ცხოვრება, ალბათ, ბედნიერებაა.

იაშა. რასაკვირველია, მაგამი ნამდვილად გეთანხმებით (დამთქნარებს და სიგარას მოუკიდებს).

ეპიზოდოვი. განავებიცაა. სახლვარგარეთ ყველაფერი თავის სრულ კომპლექციამდეა მიყვანილი. იაშა. ცხადია.

ეპიზოდოვი. მე განათლებული კაცი ვარ, სხვადასხვა შესანიშნავ წიგნებს ვკითხოლობ, და მინც ვერაფრით ვერ გავრკვეულივარ იმ მიმართულებაში, რომელიც, ასე ვთქვათ... რა მინდა, ბოლოს და ბოლოს? ვიცოცხლო თუ თავი მოვიკლა? მიუხედავად ამისა, რეკლამური ყოველთვის თან დამაქვს. აი! (რეკლამერს ამოიღებს).

შარლოტა. (თოვს მხარზე გადაიკიდებს და წაშლავს) — წავედი მე... სხვათა შორის, ექსნოლოვ, შენ ძალზე კვიანი და საშინო კაცო ხარ! ქალაქი ალბათ, შენთვის კუჟას კარგავენ... ბარ! (მიღის) დმერთო, რა სულელი ხალხია! კაცისშვილს ვერ დალოპარკებო... მარტო ვარ, მარტო... რას წარმოვადგენ ან რისთვის ვარ — გაუგებარია... (წელა გადის).

ეპიზოდოვი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი თავი რომ გავენებოთ, მე მაინც იმ თვალსაზრისზე ვედავარ, რომ ბედი მაინც და მაინც არ მწყალობს და ქარიშხლიანი წვილისა არ იყოს, თავის ნებაზე მაიაამებს, როგორც პატარა ხომალდს... დაფუშვით ვცდებით. მაშინ რას უნდა მივაწეროთ. მაგალითად, ის ამბავი, რომ აღდეს დილით. გავივიძე თუ არა, უწარმასარი ობობა დავინაქ! აი აქ, ზედ გულზე მექდა! თანაც, ამხელა იყო! (ორივე ხელით აწევს) სხვა დროს კი ისიც მომხდარა, ბუჩახს დავისხადი, კიქამი ჩავიხვიდავდი და შიგ, კიქამი, წარმოიდგინეთ, ხოვოს ან რაიმე სხვა უმსგავსობას აღმოვარჩენდი, ბუხს, მაგალითად! (პაუზა) ბიოკლი თუ წაგვითხსავს? (პაუზა) ავღობთა ფედოროვს! ირრრრე წუთით მსურს შეგაწუხოთ. შეიძლება?

დუნიაშა. გისმენთ.

ეპიზოდოვი. ჩემთვის სასურველი იქნებოდა მარტო დავარჩენილიყავით (ღრმად ამოიხიზავს).

დუნიაშა. (მორცხვად) — კარგი, მაშინ ჩემი მოსახამი მომიტანეთ. აივანზეა, კარადის გვერდით... შემეცივდა!

ეპიზოდოვი. კეთილი ინებეთ, ამ წუთში მოვარმეთვთ... ახლა კი ვიცი, რისთვის დამჭირდება რეკლამერი! (მიღის, თან გიტარას ავლარუნებს)

იაშა. სულელია ეგ უბედური! მართლა ბედოვლათია! დუნიაშა. მეშინია, თავი არ მოიკლას. (დამთქნარებს. პაუზა) ისეთი აზრი ვარ, ყველაფრის მეშინია. ბატონების სახლში რომ მიმიყვანეს, ერთი ცოცხა ვიყავი, არაფერი გამეგებოდა. ახლა კი სოფლურ ცხოვრებას გადავეჩვიე. ბაროშნას დავემსგავსე, ხელშიც გამითეთრდა, კანიც, და ისეთი აზრი და კეთილშობილი გავხდი, ყველაფრის მეშინია... მარტოვად საშინია აი, თქვენ, მაგალითად, იაშა... თქვენ რომ მომატყუოთ, არ ვიცი რა მომივა! ალბათ, გავკეთებ!

იაშა (ზანტად კოცნის) — ქოფავ კიტრივითა ხარ!. ისე კი, ქალიშვილი ქალი თავის პაკიონსებას უნდა უფრთხოვდებოდეს. მე პირად დე ცული უფაქცივის ქალებს ვერ ვიტან!

დუნიაშა. რა ქვანა, იაშა, თავდავიწყებით შემეყვარდით. თქვენ ისეთი განათლებული ხართ, ყველაფერზე შეგიძლიათ იმეტელით. (პაუზა).

იაშა. (ამთქნარებს) — დიახ, ასეა... ჩემი აზრით, შეუვარებული ქალიშვილი პაკიონსანი უკვე აღარ არი... ის, ასე ვთქვათ, ზნედაცემული არსებაა! (პაუზა) სახიამოვნო კია სუფთა მარტო სიგარის გაბოლება! (მიყურავს) მგონი ვილც მოდის... ბატონები იქნებიან. (დუნიაშას მოუხვევა) წადით ახლა, ვითომ სახანაოდ იყავით, მდინარეზე... ბილიკის გაყევით, რომ არავინ დავინახოთ, თორემ ჩემზე რაღაცას იფიქრებენ, ვერ ვიტან ასეთ რამეებს.



დუნიაში. (ჩემად ახელებს) — თქვენმა სიგარამ თავი ამტყავა. (მიღის). იშა ისევ ძელსკამზე ზის. შემოდინა ლუბოვ ანდრეევსა, გაევი და ლოპახინი)

ლოპახინი. ბოლოს და ბოლოს უნდა გადავწყვიტოთ, დრო აღარ ითმენს. უბრალო საკითხია: თანახმა ხართ თუ არა გააქირაოთ მამული, რომ თქვენს მიწაზე აგარაკები აშენდეს? მო თუ არა? მხოლოდ ერთი სიტყვაა საჭირო.

ლუბოვ ანდრეევსა. ღმერთო ჩემო, ვინ ეწევა ასეთ საშინელ სიგარებს?

გაევი. (ჯდება) — კარგია, რომ რკინიგზა გაიყვანეს: ქალაქში წავედით და ვისაუზნეთო!. მარცხნიდან კოხტუმი ვურტყავ! დუპლეტით შუაში!.. ისე კი, შინ მისვლა აჭიბებდა, ბილიარდს ეთამაშებდი!

ლუბოვ ანდრეევსა. მოესწრები.

ლოპახინი. პასუხს ველოდები, ბატონებო! მო თუ არა? (მუდარით) გემუდარებით, მაღირსეთ ეს ერთი სიტყვა!

გაევი. (ამოქნარებს) — ვისაო?

ლუბოვ ანდრეევსა. (სადულში იხედება) — გუშინ უპირავი ფული მქონდა, დღეს კი საფულე ცარიელია... საწყალი ჩემი ვარინკა! კაიკს კაპიკზე აწებებს. რბის სუკით ვეიმასპინძლდება უველას, სამხარეულოში მოხუცებს ცარიელ მუხუდობს აქმევენ, მე კი ამ ფულს ვყრი და ვყრი! (სადულე გაუვარდება და ხურდა დაეპნევა) აი, ინებეთ! რაც დამრჩა, ისიც დამეფანტა! (გულმოსულია)

იაშა. ნუ წუღებით, ახლავე აყვრთავ. (დაიხრება და კრთავს)

ლუბოვ ანდრეევსა. თუ შეიძლება, იაშა... მადლობელი ვარ, ნეტა ვიცოდე, რა მიმარბენინებდა იმ ქალაქში? საზიზღარი რუსტორანი გქონიათ! ან ის მუსიკა რას გავდა, ან მაგიდის გადასაუარბლები, სანის სუნი რომ უდიოდა!.. და საერთოდ, რა საქირაო ამდენი სმა? ან იმდენი ტამა რა იყო, ღვინოზე? ენაც არ გაგიჩერებია?! სულ ღაპარაკობდი... სამოცდაათიანი წლები ახსენე რაკომლაც, მერე დეკადენტებს გადასწვდი... ვის ეუბნებოდი ამას? ლაქიებს? ძალიანაც აინტერესებდათ!

ლოპახინი. დიახ.

გაევი. (აღიქანება, ხელებს იქნევს) — ვიყო, ვიცი! გამოუსწორებელი ვარ, არ ყოფილა ჩემი საშველი და ეგ არის (ვალბიანებული, იაშას) გაინი იქით, თვალში ნუ შეჩხირები!

იაშა. (ჩაიფრტუნებს) — მეციენება, თქვენ რომ გისმენთ.

გაევი. (დას) ლუბა! ან ეს ვუბატონი, ან შე!

ლუბოვ ანდრეევსა. წადით, იაშა.

იაშა. (ფულს ძვასტყვს) — ახლავე, ქალბატონო, (სიცილს ძვასტყვს იკავებს) ამ წუთში... (მიღის).

ლოპახინი. თქვენი მამული ყიდვას ვინმე დერაგანოვი აპირებს, ძალზე მდიდარი კაცია. ამბობენ, აუქციონზე თვითონ ჩამოვაო.

ლუბოვ ანდრეევსა. რა იცით?

ლოპახინი. ქალაქში თქვენს. გაევი. დედაჩემს შემოთვლია იაროსლავლიდან, ფულს გამოგოგზავნითო, ოღონდ რადიუსი და რამდენს გამოგზავნის არ ვიცი.

ლოპახინი. რამდენი უნდა გამოგზავნოს? ასი, ორასი ათასი?

ლუბოვ ანდრეევსა. ათი თუ გამოგზავნა, ისიც კარგია.

ლოპახინი. მშაბტით, ბატონებო, მაგრამ თქვენისთანა არასერიოზული და უცნაური ხალხი ჯერ არ შემხედვარია. ხანხანა გარკვეულად, უველასათვის გასაგებ ინაზე გეუბნებით: თქვენი მამული იყოდებოდა... — თქვენ კი უურსაც არ იბერტყავთ, თითქო არაფერი გავეგებოდეთ!

ლუბოვ ანდრეევსა. მო. კარგი, გავიგეთ. რა ვქნათ ახლა? გვასწავლეთ, როგორ მოვიქცეთ?

ლოპახინი. უოველდღე მაგას გეუბნებით და რაოთ ვერ გაიგეთ? ალუბლის ხალიცა და მიწაც აგარაკების ასაშენებლად უნდა გააქირაოთ! თან, რაც შეიძლება ჩქარა, თუნდაც ახლავე, რადგან აუქციონის საცაო დაიწება! გაიგეთ ეს! თუ ერხობლდა სამუდამოდ გადაწყვეტთ ამ თქვენს მიწაზე აგარაკების აშენებას. ფულიც გაინდება და გაკოტრებასაც გადაურჩებით.

ლუბოვ ანდრეევსა. აგარაკები... მოაგარაკენი... ეს ისეთი უმსგავსოა, რომ... მშაბტით.

გაევი. სავსებით გეთანხმებით. ლუბა.

ლოპახინი. ღმერთო ჩემო! ან ავტირდები ახლა, ან დავივირებ, ანდა გული წამოვა და წავიქცევი! აღარ შემიძლია, არა! გავიტანე თქვენს ხელში! (გაევი) ქალაქშია ხართ!

გაევი. ვისაო?

ლოპახინი. ქალაქშია ხართ-მეთქი! წავედი მე! (წასვლას დაიბრებს)

ლუბოვ ანდრეევსა. (შეშინებული) — მოიცაო... დარბით ცოცა ხანს. იქნებ რამე მოვიფიქროთ.

ლოპახინი. ფიქრის დრო არ არი ან რა უნდა მოიფიქროთ?

ლუბოვ ანდრეევსა. არ წახედეთ, გიხოვთ... თქვენთან ყოფნა სახალისია, უოქვენოდ სულ მოვიწყნეთ. (პაუზა) უცნაურია... ასე მგონია, რადაცის მოლოდინში ვარ... ისეთი გრძობა მაქვს, თითქო ქერი უნდა დამეცეს თავზე...

გაევი. (ღრმად ჩაიფრტუნული) — დუპლეტით კუთხეში... თავისუფალს ვურტყავ...

ლუბოვ ანდრეევსა. (ისიც ჩაიფრტუნება) — ალბათ, ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი...

ლოპახინი. თქვენ რა ცოდვა უნდა გქონდეთ?

გაევი. (შაქარყინულს ამოიღებს და წუწნის) — ჩემზე ამბობენ, მთელი ქონება შეაქრინულს დახარგაო... შემოქამა და ეგ არის! (იციინის)

ლუბოვ ანდრეევსა. (ლოპახინს) — მართლაც ცოდვილი ვარ... ყოველთვის სულელად და უანგარიშოდ ვფანტავდი ფულს, ცოლად კი ისეთ კაცს გავყევი, ვალების აღების მეტი რომ არაფერი შეეძლო... ჩემი ქმარი შამპანურმა მოკლა, საშინლად სვამდა. მე კი, საუბედუროდ, სხვა შემოვივარდა, დავუხალციედი იმ კაცს და სწორედ ამ დროს... ეს პირველი ხასხელი იყო! — აი აქ, მდინარეში, ჩემი ბიჭუნა დაიხრია... უველაფერი მიატოვე და გავიქეცი. სახლვარგარეთ წავედი,



რათა უკან არასოდეს მომხებდა და ეს საშინელი მდინარე არ დამენახა... თვალდახუჭული გავბრძოდი, არაფერი მახსოვდა, მაგრამ ის კაციც... ისიც გამოშვავა!.. უმოწყალოდ, უხეშად, ჩემი მდგომარეობისათვის ანგარიში არ გაუწევია და... მერე მენტონის მახლობლად აგარაკი ვიყიდე, რადგან ჩემი თანამგზავრი ავად გახდა და სამი წელიწადი თავს ვადექი, ვუვლიდი, ერთი წამით მოსვენება არ მქონია. ავადმყოფი კი ჭირვეულობდა, მარჯვლედ, ეგვიანობდა... ერთი სიტყვით, გამახშიო და დამაქკნო, მთლად გამოვტყა ჩემი სული... შარშან კი, აგარაკი ვალბეში რომ გამოვიდეს და პარისში გადავსახლდი, იმ კაცმა მომეტოვა! წაიღო რაც მქონდა, გამძარცვა და მიმატოვა სხვა ქალი გაიჩინა... თავის მოკვლა მიწდოდა, მაგრამ... ემ, საპარტყინოა ყველაფერი! საპარტყინო და უარსო!.. მერე გულმა სამშობლოსკენ გამიწია, რუსეთი მომეწადა, ჩემი ქალიშვილის ნახვა მომიწინდა... (ცრემლს იწმენდს) ღმერთო ჩემო, შაპატოვ აქდენი ცოლდა! გემუდარები, ნუღარ დამხვი და ნუღარ გამაწამებს!.. (ყბიდან დებუშას ამოიღებს) აი, დღესაც, პარიზიდან მომივიდა... პარტიუბას მხოვო, დამიბრუნდიო, მეხვეწება... (დებუშის ხეცს) სადაც მუხიას უტარვენ...

გ ა ე ვ ი. ჩეენი ცნობილი ებრაული ორკესტრა. გახსოვს? ოთხი ვოლინო, ფლეიტა და კონტრაბასი.
ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. ნუთუ კიდევ არსებობს? უარში იქნებოდა შინ მოგვეწვია, მუსიკალურ ხალხს გაგმართავდით...

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. (ყურს უდგებს) — აღარ უტარვენ. (თავისთვის ჩაიღლინებს) „ფული იყო, თორემ ფრანგი — რუსსაც გააგერმანულებს...“ (იკინის) წუხელ თეატრში წარმოადგენას ვუფურე, სიცილით მოკვდა!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. დარწმუნებული ვარ, ხანაცლო არაფერი იქნებოდა. წარმოადგენებს კი არა, ჩვენს თავს უნდა ვუფურეთ და რაც შეიძლება ხშირად... ემ, ბატონებო, მოხაწვენია თქვენი ცხოვრება! რამდენს ლაპარაკობთ... ღმერთო, რამდენს ლაპარაკობთ!

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. მართალი ხართ. ნამდვილად უბადრუკია ჩვენი ცხოვრება. (პაუზა) მამაჩემი გლეხი იყო, უკიკო და გაუნათლებელი. ჩემთვისაც არაფერი უსწავლებია, მარტო მცემდა ხოლმე, როცა დათვრებოდა... არსებითად, მეც არ განხვავდებდი შიხვან, ისეთივე იდიოტი ვარ. სწავლა-განათლება არ მიმიღია, ბატონებური ვწერ... სირცხვილია, ღმერთმანი! ჩემს ნაწერს კაცმა რომ შეხედოს, გული აფრევს, ღლი ვარ, ერთი სიტყვით!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. ცოლი უნდა შეერთოს, მეგობარო.

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. მართალია.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. ჩვენი ვარინა ითხოვთ, კარგი გოგოა.

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. ვიცი.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. უბრალო გლეხის ქალივით აღვზარდე, მთელი დღე შრომობს. თან უყვარხართ კიდევ... მე მგონი, თქვენც უნდა მოგწონდით

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. განა უარს ვამბობ, კარგი ქალიშვილია.

(პაუზა)
გ ა ე ვ ი. (დას) — გაიგე? ბანკში ადგილს ვიკავებდი, ვიღონადმი ექვსი ათასი მექნება.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. შენ ტყავში დაიტეე, მაგის კაცი ხარ?!

(შემოდის ფირსი, პალტო მოაქვს)
ფ ი რ ს ი. (გაეცხ) — კეთილი ინებეთ, ჩაიცვით. ნესტიანი პერია.

გ ა ე ვ ი. (პალტოს იცეამს) — თავი მომბეჭრე, ძმაო. ფირსი ჩაიცვით, ჩაიცვით... დილითაც ისე წახვედებ, არაფერი გამიგია. (ყურადღებით შეათვალიერებს)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. როგორ დაბერებულხარ, ფირს!

ფ ი რ ს ი. რა ბრძანეთ?

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. დაბერებულხარო!

ფ ი რ ს ი. დიდი ხანია ცხოვრობ და იმიტომ... ცოლის შერთვას რომ მიპირებდნენ, მამათქვენი ჭერ დაბადებულიც არ იყო... (იკინის) გლეხობა რომ განთავისუფლებს, უკვე კამერდინერი ვიყავი, განთავისუფლებაზე უარი ვთქვი და ისევ ბატონთან დავრჩი... (პაუზა) მახსოვს, ყველა გახარებული იყო, მაგრამ რა უხაროდან, თვითონაც არ იცოდნენ...

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. ძველად ყველაფერი კარგი იყო. გლეხებს როგავდნენ შინც!

ფ ი რ ს ი. (ვერ გააგონა) — მაგას არ ვამბობ! გლეხი ბატონთან იყო, ბატონი — გლეხთან... ახლა ერთი ალთას არი, მეორე ბალთას, ვერაფერს გაიგებ!

გ ა ე ვ ი. ცოტა ხანს გაჩუმიდი, ფირს!.. ხვალ ისევ ქალაქში წავალ: ვიდაც გენერლის გაყნობას დამპირდნენ, თამასუქით ფულს იძლევაო.

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. ეგეც არ გიშველით, პროცენტებს მაინც ვერ გადაიხდით. აი, ნახავთ!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. რის გენერალი, რა გენერალი? იგონებს რადაცა! (შემოდის ტროფიმოვი, ანა და ვარა)

გ ა ე ვ ი. ჩვენიც მოვიდნენ.
ანა. დედაც აქ უყოფია.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. (ალერსიანად) — მოდი, შვილო... თქვენ გენაცვალეთ ჩემი თავი! (მოხვეწავს ანას და ვარას) რომ იცოდეთ, როგორ მუყარხართ! გერდით დამიჭკითო. (ყველანი ჩამოსხდებიან)

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. ჩვენი მუდმივი სტუდენტი კი სულ ბარონებთან დაიარება!

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. ეს თქვენ არ გესაქმებათ!

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. მალე ორმოცდაათისა გახდება და ისევ სტუდენტი!

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. აღარ მოეშვებით სულელურ ხუმრობას?

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. რას ბრახობ, ადამიანო?

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. თავი გამანებე.

ლ ო კ ა ხ ი ნ ი. (იკინის) — ერთი შეკითხვა მხოლოდ... ნება მომეცით, გავიგო: რა შეხედულებიხა ხართ ჩემზე?

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. მე ვფიქრობ, მდიდარი კაცი ხართ,



საცა მილიონერი გახდებით... ბუნებაში, ნივთიერებათა ცვლის გამო, აუცილებელია შტატებელი ცხოველი, რომელიც ყველაფერს, რაც წინ დაუხვდება... ნიქავს... ჰოდა, თქვენც ასევე ამ ცხოვრებისთვის საჭირო და აუცილებელი ხართ!

(ყველანი იცინიან)

ვ ა რ ა. (ტროფიმოვს) — პლანეტებზე მოყვებით, ის უფრო საინტერესოა.

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. არა, გუშინდელი თემა განჭარბოთ.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. რა თემა იყო?

გ ა ე ვ ი. ამაყი ადამიანი.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. გუშინ ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ საერთო ენა ვერ გამოვჩახეთ... ამაყ ადამიანში, თქვენი აზრით, რაღაც მისტიური უნდა იყოს. შენაძლია, მართალი ხართ, მაგრამ უბრალოდ, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე თუ ვიშკილებთ, რა ფასი აქვს მაგ თქვენ ყუბადღებულ სიამაყეს, თუ ადამიანი ფიზიოლოგიურად უბერიოდ არის მოწყობილი, თუ მათი უმრავლესობა ტლანქი, უცივი და უბედურია?! უნდა მოვეშვათ საკუთარი თავით აღტაცებას... შრომა საჭირო, შრომა!

გ ა ე ვ ი. რა ჭკუა აქვს შრომას? მაინც მოკვდები!

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. ვინ იცის? თანაც ხარ ნიშნავს — მოკვდები? იქნებ ადამიანს ასე ღრმადია გააჩნია და სიყვდილი მხოლოდ ერთს ანადგურებს, დანარჩენი ოთხმოცდათხუთმეტი კი ცოცხალი რჩება?!
ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. რა ჭკვიანი ხართ, პეტია!

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. (ჩიბობებს) — აბა.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. კაცობრიობა თანდათან სრულყოფს თავის შესაძლებლობებს და სწორედ ესაა მისი განვითარების მთავარი პირობა. ყველაფერი, რაც ჩვენთვის ამაჟამად მიუწვდომელია, ოდენმე ახლობელი და გასაგები გახდება. მაგრამ ამისთვის კაცმა უნდა იზრდოს და მხარში აიშოვდეს იმით, ვინც ცხოვრებაში კუმარობებს ეძებს, ჩვენთან, რუსეთში, მშრომელი ხალხი ჯერჯერობით ძალზე ცოცხა. ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში, ყველა, ვისაც მე ვიცი, არც არაფერს აკეთებს, არც არაფერს ეძებს და, არსებითად, მათ შრომის უნარიც არ გააჩნიათ. თავიანთ თავს ინტელიგენტებს ეძახიან, მოსამხაურებს კი „შენიბით“ მიმართავენ, გლეხებს ხომ პირუტყვებად თვლიან! არც სწავლობენ, არც კითხულობენ, არაფერი არ აინტერესებთ! მეცნიერებაზე მხოლოდ უბედობენ, ზელოვნებისა არაფერი გაეგებათ... რომ შეხედო, ყველას სერიოზული გამომეტყველება აქვს, მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობენ, ფილოსოფოსობენ, ამ დროს კი, მათ გვერდით, მშრომელი კაცი, ღმერთმა იცის, რას ჰკამს, როგორ ცხოვრობს! ბალიში რაა, ისიც ენატრება, რომ ნორმალურად დაიძინოს! ერთ ოთახში ორმოცამდე სული ცხოვრობს, ყველგან სიბინძურება, სინესტე, ბალნიცო და ათასი წნეობრივი უშეგავსობა! ჰოდა, გამოდის, რომ ამდენი დაპირებითა და ლამაზი სიტყვებით ჩვენ მხოლოდ თავს ვიტყუებთ, თვალს ვუხვევთ ერთმანეთს!.. აბა, მითხარით, სად არი

ჩვენში, მაგალითად, საბავშვო ბაგები, რომლებზეც ამდენს ვუბედობთ? ან სამკითხველთა დასაწყისი? ამაზე მხოლოდ რომანებში უწერენ! სინამდვილეში კი არაფერი გვაქვს! არის მხოლოდ ქუჩური, უხამსობა და გაველურება!.. მართალი გითხარათ, ვერ ვიტან მტრისმეტად სერიოზულ სახეებს, მემინია ჭკვიანი ლაპარაკი... მოდით, გავჩუმდეთ.

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. მე პირადად ყოველდღე დილის ზუთ საათზე ვდგები და დაღამებამდე ვმუშაობ. სულ ფულთან მაქვს საქმე — ან ჩემია, ან სხვისი, — და ვხედავ რა ხალხიც მახვევია... საქმეს უნდა მოკიდო და მაშინ მიხვდები რა ცოტა ამქვეყნად ნორმალური, წესიერი და პატიოსანი ადამიანი!.. ზოგჯერ, უძილო დამით, მიუტყრია ხოლმე: „ღმერთო დიდებულო! ეს ხომ სულ შენი წყალობაა — ეს უსასრულო ტყუები, თვალუწვდენელი მინდვრები, წყალუხვი მდინარეები... და ნუთუ ჩვენ, ამ სიმდიდრისა და სიდიადის პატრონი, თვითონაც გოლიათები არ უნდა ვიყოთ?!“

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. გოლიათობა მოინდომამ! გოლიათები ზღაპრებშია კარგი, სინამდვილეში მათი ყველას ეშინია, (ტყუენის სიღრმეში, გოტარით ზელში, ეპიხოლოვი გამოჩნდება) აგერ, ეპიხოლოვიც მოდის.

ა ნ ა. (დაფიქრებული) — ეპიხოლოვი მოდის...

გ ა ე ვ ი. შუე ჩავიდა, ბატონო.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. დიას...

გ ა ე ვ ი. (ჩუმად, გამოთქმით, თითქოს ლექსს კითხულობდეს) — ჰოი, ბუნებავ! საკვირველო, მარადიულო შუქის წყარო! მშვენიერი ხარ, მაგრამ გულგრილი; დედას გეძახით შენი შვილები, შენ კი სიკვდილ-სიცოცხლეს აერთიანებ შენს არსებაში, და ერთდროულად ცოცხლობ და ანადგურებ...

ვ ა რ ვ ა რ ა. (საყვედურით) — ძია!

ა ნ ა. კარგი რა, ძია! ისევ დაიწყო?

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. დუბლებით შუაში დაურტყით, — ის ჯობია!

გ ა ე ვ ი. ჰო, კარგი, გავჩუმდები! აი, ჩუმად ვარ. (ყველანი ერთხანს გარინდებული სხედან. სიტყვებში მარტო ფირსის ჩიფჩილი ისმის... უცებ შორიდან — თუ მაღლიდან? — შემხარავად დაგარუხუნებს რალაც, ეს ხმა გაწყვეტილი სიმის კმენას გავს, რომელიც თანდათან წყდება).

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. (შემინებული) — რა იყო ეს?

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. არ ვიცი... ხაღმე მაღაროში ბადა ჩამოწყდებოდა... შორს კი იყო ძალიან.

გ ა ე ვ ი. იქნებ ჩიტია? ყანა, მაგალითად.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. ან ბუკოტი...

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ე ნ ა. (მოიბუხება) — რა საშიშვლება იყო...

(პაუზა)



ფირსი. ის უბედურება რომ მოხდა, მაშინაც, მახსოვს, ბუიკოტი ყოდა და სამოვარიც გუგუნებდა.

გაევი. რომელ უბედურებაზე ამბობ?

ფირსი. აი, ის, გლეხები რომ გაანთავისუფლეს. (პაუზა)

ლუბოვ ანდრეევნა. წავიდეო. შეგობრებო, უკვე გვიანია. (ანას) რა მოგივიდა, შვილო? სტირი? (მოხევევა)

ანა. არაფერია, დედაცო... ისე...

ტროფიმოვი. ვილაჟ მოდის. (გამოჩნდება გამველი. პალტოშია, საკმოდ შეღანილი თეთრი კარტუზი ახურავს. ნასვამია)

გამველი. ბოდის ვიხი, პატყვიმულნო... ნება მომეცით გითხოთ, რკინიგზის სადგური საით არი?

გაევი. ამ გზას გაჟევიო.

გამველი. უღრმესი მადლობა.. (ჩაახველებს) შესანიშნავი ამინდია. (გამოთქმით) მრავალტანჯულო ძმარ ჩემო! ვოლგის ნაპირზე ვადი, მოუსმინე, კვნესა თუ გესმის? (ვარვარას) მადმუნაზელი რუსეთის შშიერ მოქალაქეს... ოცდაათ კაპეს თუ გამოიტებო...

ლოპახინი. ვაიარე, ძმობილო... თავებდობასაც სასწავარი აქეს!

ლუბოვ ანდრეევნა. (დაბნეული) — მოიცაო! (ხელჩანთში იქებება) ვერცხლის ფული არა მაქვს... აი, ოქრო ინებეთ.

გამველი. უღრმესი მადლობა. (მიდის). (ყველას გაეცინება)

ვარა. (შეშინებულია, აღელვებული) — მე წავალ. წავალ... ღმერთო ჩემო, რანაირი ხართ, დედა?! სახლი ხალხს აღარ ვიციოთ რა ვეპამოთ, თქვენ კი ოქროს მანეთიანებს პარიგეთო!

ლუბოვ ანდრეევნა. რა გავწუბო, შვილო, სხვანიშნავი არ შემოძლია, აი, მივალო სახლი და რაც მაქვს. უველაფერს ჩაგებარებ, შენ თითონ მოუარე! (ლოპახინს) ერმოლაი აღექსინე, კიდევ უნდა მასესხოთ.

ლოპახინი. სიამოვნებით.

ლუბოვ ანდრეევნა. წავიდეო, ბატონებო... იცი, ვარინა, ჩვენ უკვე თითქმის გაგათხოვეთ კიდევ! მომილოცავს!

ვარა. ნუ ხუმრობოთ, დედა. სულ არა ვარ მაგის გუნებაზე.

ლოპახინი. ოფელია! მონატერტი წადი!..

გაევი. თითები გამიშეშდა, რა ხანია ბილიარდი არ მითამაშია!

ლოპახინი. ოფელია, ფერიავ! შენს მოცეხში მომიხსენიე!

ლუბოვ ანდრეევნა. წავიდეო, ბატონებო, ვახშობის დროა.

ვარა. როგორ შემაშინა ამ ცაცმა.. სულ ვკანკალებ! ლოპახინი. ნება მომეცით, ბატონებო, შეგახსენოთ: ოცდარი ავჯიტოს აღუბლის ბალი გაიყიდება! იფიქრეთ ამაზე, კარგად იფიქრეთ!

(ყველანი მიდიან, ტროფიმოვისა და ანას გარდა)

ანა. ღმერთმა უშველოს იმ ცაცს, ვარა რომ დააფროსო. ძლივს მარტო დავრჩით!

ტროფიმოვი. თქვენ დას ეშინია, რომ მე და თქვენ ერთმანეთი შეგვიყვარდებოდნენ და გვეყვარებოდნენ. მაგ ქუთის კოლოფს ვერ გავუგავებ! ჩვენ სიყვარულზე მაღლა ვართ. შორს ჩვენგან უკველივე წვრილმანი და მოჩვენებითი, უველაფერი, რაც ადამიანს ხელს უშლის თავისუფალი და ბედნიერი გახდეს! აი, ჩვენი ცხოვრებას მიზანი და აზრი! წინ, მხოლოდ წინ, იმ ნათელი ვარსკვლავისაკენ, ბედნიერ მომავალს რომ გვპირდება! არავინ ჩამოგვრჩეთ, მეგობრებო!

ანა. (აღტაცებული) — ო, რა ლამაზად ლაპარაკობთ! (პაუზა) დღეს აქ უველაფერი გადასარევა.

ტროფიმოვი. მართლაც საკვირველი ხალამა.

ანა. რა მიქნით, პეტია, როგორ შემცვალეთ!.. მე უკვე აღარ მიყვარს ჩვენი ალუბლის ბალი. აღრე მეგონა, უკეთესი ადგილი დედამიწაზე არ მოიძებნებოდა, ახლა კი...

ტროფიმოვი. ჩვენი ბალი — მთელი რუსეთია! დედამიწა კი დიდია და მასზე ბევრი შესანიშნავი ადგილია. (პაუზა) აბა დაფიქრდით, ანა... თქვენი პაპა, პაპისპაა და სხვა წინაპრები, უველანი მემამულეები იყვნენ და ადამიანთა უცხოალი სულები მათ საკუთრებას წარმოადგენდნენ. ეს კი ამის ნიშნავს, რომ თქვენი ალუბლის ბალის უკველი ხის ძირიდან, უკველი ტოტიდან თუ ფოთლიდან თქვენი უმების სამღურავები სავსეები იყურებან, მათი დამონებული სულები დადადებენ! ნუთუ არ გესმით ეს ხმები? ადამიანის დასაკუთრება! ეს ხომ საშინელებაა, ანა! სწორედ ამან გადაგვავარა უველანი — ისინი, ვინც აღრე იყვნენ და ვინც ახლა ვართ! დიახ, ჩვენ გადავგვარდით და ვერც დედათქვენი, ვერც მისი ძმა, ვერც თქვენ, უკვე ვიღარ ამჩნევთ, რომ ელბის ანგარიში ცხოვრობთ, სხვის ხარჯზე არსებობთ! სწორედ იმ ხალხის ხარჯზე, ვისაც თქვენ სახლში არ შეეცვლება, ვისაც დერეფანში აცდევინებთ ხოლმე!.. ჩვენ ბარე ორასი წლით ჩამოვრჩით ქვეყანას, ჭერ არაფერი გაგვანია, არაფერი! წარსულისადმი გარკვეული დამოკიდებულება კი არა გვაქვს! ჩვენ მხოლოდ ვილო-სოფოსობთ, ვწუწუნებთ და არაყს ვზუხავთ! გამოსავალი კი უბრალოა. იმისთვის, რომ აწმუო-ში ფეხი შევიკიდოთ, ჭერ ჩვენი სამარცხვინო წარსული უნდა გამოვიხილოთ. ამის გამოხილვა კი მხოლოდ ტანჯვით, არაადამიანური, გამუდმებული შრომით შეიძლება! გაიგეთ, ეს, ანა!

ანა. ის სახლი, სადაც ჩენ ვცხოვრობოთ, დიდი ხანია ჩვენ აღარ გვეყუთვინს. მე წავალ იქიდან, პირობას გაძლევთ!

ტროფიმოვი. გამოიკეტეთ კარი, ქაში ჩაადეთ გასადები და წადით! წადით! ქარივით თავისუფალი გახდით!

ანა. რა კარგად თქვით! (თვლები უბრწყინავს)

ტროფიმოვი. დამიჭერეთ, ანა! მე ჭერ ახალ-გაზრდა ვარ, ოცდაათი წლისაც არ გავმზდარვარ, მაგრამ ბერი გამოვცადე... ზამთარი დგება და ვეშშიშობ, სულიერ სიმშვედრე ვკარგავ, სიღარიბე მკლავს. — მე ხომ მათოვარივით დარბი ვარ... ემ, სად არ მატარა ბედმა, სად არ

გადამისროლა, და მაინც ჩემი სული უოველთვის, უოველ წამს, დღისითა თუ ღამით, გამოუცნობი წინათგანძობით ყოფილა სავსე. მე ვგრძნობ ბედნიერების მოახლოებას! მე უკვე ვხედავ მას!

ანა. (ჩაიქრება) — მთვარე ამოდის...
(გიტარის ხმა ისმის, ეპიზოდური ისევ თავის ნაღვლიან მელოდისს უგრავს. ამოდის მთვარე. ალვის ხეების მხრიდან ვარა დაიძახებს: «ანა! სად ხარ?»)

ტროფიმოვი. მთვარე ამოდის... (პაუზა) ანა, ანა! აუკრის, ბედნიერება! მოდის, გვახლოვდება, მე უკვე მისი მისი ფეხის ხმა!.. ეჰ, ანა! რა ვუყოთ, თუ ჩვენ მას ვერ დავინახავთ, ვერ ვიწინოთ, — სხვები ხომ დაინახავენ და იცნობენ! (ვარას ძახლი: «ანა! სად ხარ? აუუ!») დასწვეულოს ღმერთმა, რა აუვირებს იმ სულელს!

ანა. მდინარისკენ წავიდეთ, იქ კარგია.
ტროფიმოვი. წავიდეთ.
(ვარას ხმა: «ანა, აუუ, სად ხარ?»)
ფარდა

მეხსიანობის მოქმედება

სასტუმრო ოთახი ღარბაზისგან თაღით არის გამოყოფილი. ყოველგან ჰალები ანთია. ღირფნიდან მუსიკის ხმა ისმის (იქ ის ებრაელთა ორკესტრი უგრავს, მეორე მოქმედებაში რომ გახსენით). საღამოა, ღარბაზში grand rond-ს ცეკვავენ. სემონოვ-პიშიჩი წამდაწუმ იძიხის: „Prunade à une paire!“ სასტუმროში მოცეკვავეები შემოდინან. პირველ წვეალშია პიშიჩი და შარლოტა, მეორეში — ტროფიმოვი და ლუბოვ ანდრეევანა, მესამეში — ანა და ფოსტის მოხელი. მეოთხეში — ვარა და სადგურის უფროსი და ა. შ. ვარა ცეკვის დროს ტრისის და თაღებს იმზრალებს. ბოლო წვეალშია — დუნიაშა. მოცეკვავეები სასტუმროში წრეს უქლიან და ღარბაზში გადიან. პიშიჩი ხმამაღლა გაიძახის:

«Grand-rond balangez!» და «Zes cavaliers à genoux et remerciez vos dames!»
(ფრაქში გამოწყობილი ფირსი ხონით ზელტერის წყალს დაატარებს, სასტუმროში შემოდინან ცეკვით დაღლილი პიშიჩი და ტროფიმოვი)

პიშიჩი. მე, ბატონო, წნევა მაწუხებს, ამის გამო უკვე ორჯერ ჩამექცა სისხლი, და ცეკვა ჩემთვის არ შეიძლება. მაგრამ, რას იზამ? როგორც იტყვიან, ხროვაში თუ გაურევი და ყვეფარ იცი, კუდი მაინც გააქციენო! საერთოდ კი, ცხენის განმრთელობა მაქვს! განსვენებული მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ხუმარაკი იყო და ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩვენ, სემონოვ-პიშიჩიები იმ ცხენის შთამომავლები ვართ, კლდეულამ რომის სენატში რომ წამოაკუპაო! (ღდება) ერთი უხედურება მჭირს მხოლოდ: ფული არა მაქვს! მშვიდი ძალღი, მოგებ-

სენებთ, მარტო ხორცს იპარავს... (ხეწუნავს) უშვებს და იმ წამსვე გაელვობა! პოდა, მეც ასევე, მარტო ფულზე შემძლია...
ტროფიმოვი. ტანის აღნაგობით მართლა ცხენს გავხართ.

პიშიჩი. რა უჭირს, ცხენი კარგი მხეცია... ცხენის გაყვდა შეიძლება!
(გვერდით ოთახიდან კახა-პუჩი ისმის: იქ ბილიარდს თამაშობენ. დარბაზიდან ვარა შემოიხედავს და გაჩერდება)

ტროფიმოვი. (გამოაჭარბებს) — ქალბატონო ლოპახინა ქალბატონო ლოპახინა!

ვარა. (გულმოსულად) — გაქუცულო ბატონო!

ტროფიმოვი. დიახ, გაქუცული ბატონი ვარ და ვამაუბო ამით.

ვარა. (მეწუხებული სახე აქვს) — მუსიკოსები დაიქრავს... ნეტა, რით გაუსწორდებაინ? (გაღი)

ტროფიმოვი. (პიშიჩს) — მთელი ის ენერგია, რაც თქვენი ცხოვრების მანძილზე პროცენტების გადასახდელად საჭირო ფულის მოგროვებას შეაღიეთ, სხვა მიზნით რომ გამოგუენებინათ, დარწმუნებული ვარ, დედამიწის ბურთს გადაატრიალებდით!

პიშიჩი. აი, ნიცმე... განთქმული ფილოსოფოსია. უზარმაზარი ჭკუის ადამიანი... იმას უთქვამს თურმე, ყალბი ფულის გაკეთებაც შეიძლება.

ტროფიმოვი. ნიცმე წავიფოხავთ?

პიშიჩი. არა, ჩემმა შვილმა დაშენდა მითხრა... მე ახლა ისეთ დღეს ვარ, ღამის ყალბი ფულის გაკეთება დავიწყო. ზვალ, მაგალითად, სამასი მანეთი უნდა გადავიხადო. ას ოცდაათი უკვე ვიშოვნე... (ჩიხებს მოისინჯავს, შემფოთდება) ვაი, დაკარგე! (ღამის ატორდეს) ფული დაკარგე! ღმერთო ჩემო!.. (უყვებ გახარებული) უფურე შენ, სარჩულში ჩამარდინა! კინაღამ გული გავმისკდა.
(შემოდინან ლუბოვ ანდრეევანა და შარლოტა)

ლუბოვ ანდრეევანა. (ლეკერის მოტივს ღილინებს) — ნეტა ჩემი მამა რა იქნა? ამდენ ხანს ქალაქში რას აკეთებს? (დუნიაშას) დუნიაშა, მუსიკოსებს ჩაი შესთავაზეთ.

ტროფიმოვი. იქნებ ბაზრობა გადაიდო?

ლუბოვ ანდრეევანა. ეს მუსიკოსები ტყუილად მოვიყვანეთ. წვეულებაც უდროოდ გაემართეთ... თუმცა, არაფერია. (ღდება და თავისთვის ღილინებს)

შარლოტა. (პიშიჩს ბანქოს დასტავს გაუწვდის) — აიღეთ ერთი კარტი და ჩაიფიქრეთ.

პიშიჩი. ჩავიფიქრებ.
შარლოტა. ახლა კარტი ჩაქვით, კარგია. (ბანქოს გამოართმევს) ო, ჩემო ძვირფასო ბატონო პიშიჩი! Ein, zwei, drei! ის კარტი თქვენ მარჯვენა ჩიხეშია, ამოიღეთ!

პიშიჩი. (ჩიხიდან კარტს ამოიღებს) — უვავის რგანში (გაოცებული) უფურე შენ, სწორია!

შარლოტა. (ხელს გულზე კარტის დასტა უღვეს, ტროფიმოვს) — მითხარა, ჩქარა! ღმერთს რა კარტია?

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. ყვაის ქალი.

შ არ ლ ო ტ ა. მოს! (ყუთის ქალს გაღმობარუნებს, მერე პიშიჩის მიუბრუნდება) ზემოდან რა კარტია?

პ ი შ ი ნ ი კ ი. აგურის ტუჩიანი.

შ არ ლ ო ტ ა. მოს! (აგურის ტუჩს დაანახებებს, კარტის დსტის ხელს დაქრავს და გააჭრალებს.) ახლა უურადდება! (მკვეთრად, ამბარცულით წარმოთქვამს) დღეს კარგი ამინდია... (ამაზე საიდანაც მამაკაცის ბოხი ხმა უპასუხებს: «ღიბს, ქალბატონო, დღეს კარგი ამინდია!») თქვენ ძლიერ კარგი ხართ, თქვენ ჩემი იდეალი ბრძანდებიო... (ისევ მამაკაცის ხმა უპასუხებს: «თქვენც, ქალბატონო, ძლიერ მომწონხართ!»)

ს ა დ გ უ რ ი ს უ ფ რ ო ს ი. (ტუშს შემოაქრავს) — ბრავო! ბრავო! ქალბატონი მუცლით მეზღაბრეც უყოფია!

პ ი შ ი ნ ი კ ი. (თავხარდაცემული) უფურე შენი! შარლოტა ივანოვნა, ძვირფასო... მე... მე თითქმის შეუვარებული ვარ...

შ არ ლ ო ტ ა. შეუვარებულიო? (მხრებს აიჩნევს, ამრწოთ) განა თქვენ იცით, სიუვარული რა არის? Guter Mensch, aber schlechter Musikant!

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. (პიშიჩის მხარზე ხელს დაქრავს) — ესეც თქვენ, ცხენო! კარგი ულაუი, ხომ იცით, მათარხს არ მოიკარებეს.

შ არ ლ ო ტ ა. უურადდება, ბატონებო... კიდევ ერთი ფოუსი. (სავარძლიდან მოსასხამს აიღებს) ეს ძვირფასი მოსახსამია, მე მსურს მისი გაყიდვა. (მოსასხამს ააფრიალებს) ვინ ყიდულობს?

პ ი შ ი ნ ი კ ი. (პირდაღებული მისჩერებია) — უფურე შენი!

შ არ ლ ო ტ ა. Ein, zwei, drei! (მოსასხამს დაიქნევს, ისევ ააფრიალებს და მის უკან ანა გაჩნდება. იგი რევერანსს გააკეთებს, მერე დედამთან მიიბრუნს, აკოცებს და დარბაზში გარბის. ყველანი აღტაცებულ არიან).

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. ბრავო! ბრავო! (ტუშს უქრავს)

შ არ ლ ო ტ ა. ახლა კიდევ ერთი. Ein, zwei, drei! (მოსასხამს ააფრიალებს. მის უკან ვარა დგას და თავის დაკვრით ესალმება სტუმრებს)

პ ი შ ი ნ ი კ ი. ეს გადასარგევია... სასწაულია, ღმერთმანი!

შ არ ლ ო ტ ა. მორჩა! წარმოდგენა დამთავრებულია! (მოსასხამს პიშიჩის მიუგდებას. რევერანსს გააკეთებს და დარბაზში გარბის).

პ ი შ ი ნ ი კ ი. (გამოეკიდება) — უფურე შენი ხედავთ, რა უოფიაა? ეშმაკის ფეხია ეგ ოხერი! (გაღის) ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. ჩემი ძმა კი არ ჩანს... აქამდე უველაფერი უნდა დამთავრებულიყო. ან გაიყიდებოდა ჩვენი მამული. ანდა... არ ვიცი პირდაპირ რა ვიფიქრო... იქნებ ვაქრობა მართლა არ შედგა? მოსულიყო მაინც, ეთქვა... რას ვაწადლებს ის დალოცვილი!

ვ ა რ ა. (მის დამწვივებას ცდილობს) — დარწმუნებული ვარ, ალუბლის ბაღი ძიამ იყიდა. აი, ნახავთ!

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. (ირონიულად) — რასაკვირველია.

ვ ა რ ა. ნამდვილად ასეთი იაროსლავი... ბუბია მ ფული გამოგვიგზავნა, რომ მამული მის შვიგერად გვეყოლა და ვალიც მის სხვათაგანს ვეწერა... ბებია სურს უველაფერი ახას დაუტოვოს. ასე რომ, ღმერთი არ გაგწვირავს, მამულს ძია იყიდის!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. ბებია მ თხოვმეტი ათასი სწორედ იმიტომ გამოგზავნა, რომ მამული თავისთვის უნდა, ჩვენ არ გვენდობა. — მაგრამ ეს თანხა პროცენტების დაფარავადაც არ კმარა. (სახეს ხელებში ჩარგავს) ო, ღმერთო! დღე უნდა გადაწყდეს ჩემი ბედი... დღეს...

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. (ვარას გამოაჭერებს) — ქალბატონო ლოპახინა!

ვ ა რ ა. (გაბრაზებული) — მუღმივო სტუდენტო! რამდენჯერ გაგრიცხვს უნივერსიტეტიდან?

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. რატომ ბრაზობ, ვარა? ლოპახინას რომ გეძახის, იმიტომ? გაჰყუე, თუ გინდა. კარგი კაცია. არ გინდა და ნუ გაჰყუები, ვინ გაძალბებს?

ვ ა რ ა. ეჰ, დედიკო... მე ამ საქმეს სერიოზულად ვუფურებ. რაღა დასამალია და ლოპახინი მართლა კარგი კაცია, მომწონს კიდევაც. მაგრამ...

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. რალს უციღი მერე?

ვ ა რ ა. რა ვნა, დედა, ძალად ხომ არ შევძენები? ორი წელია უველა ამას მეუბნება, მილოცავენ ის კი ან გაჩუმებულია, ან ხუმრობს... მესმის, განა არ მესმის, ასე რატომ იქცევა? ის გამიღობაზე უფრობს, საქმით გართულია, ჩემთვის სად სცალია?! ...ეჰ, ფული რომ მქონდეს, სულ ცოტა, ასი მანეთი თუნდაც, მივატოვებდი უველაფერს და საიდვ გადავიკარგებოდი... მოსახტერში წაიდებოდი.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. ეგ მართლა ჩინებული იქნებოდა!

ვ ა რ ა. (ტროფიმოვს) — სტუდენტ კაცს შეტი ჰქუა მოგეხიკვებათ! (გულბრუნებული, მტრარა ხმით) რა არი, პეტია, რა ულაშაო გახდით? როგორ დაბერებულხართო... (ლუბოვ ახლრევენას, უკვე დამწვივებული უსაქმოდ არ შემოქალია უოფნა, უოველ წუთს რალაცას უნდა ვაკეთებდე. (შემოდის იანა))

ი ა შ ა. (სიცილს ძლივს იკავებს) — ეპიხოლოვმა საბილარდოში კია ვატეხა! (გაღის)

ვ ა რ ა. (შეშოთებული) — რა? ეპიხოლოვს აქ რა უნდა? ან საბილარდოში ვინ შეუშვა?.. გადამრეცხვს ხალხი! (სწრაფად გაღის)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. (ტროფიმოვს) — თავი დაანებეთ, პეტია, ნუ დასცინით. მავას თავის დარღვევ უყოფა.

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. აბა, რატომ მეტირობს? მთელი ზაფხული მე და ანას მოსვენება არ მოგვცა, სულ კუდში დაგვედვა, ეშინოდა, ჩვენ შორის რამანი არ გაჩარხულიყო... ვინ ეკითხებოდა მავას? ანდა რამ აფიქრებინა ასეთი სისულელე? მე პირადად არავითარი საბაბი არ მიმიცია! და საერთოდ, ვერ ვიტან, როცა ადამიანი სხვის საქმეში ერბება! მე და ანა სიუვარულზე მაღლა ვდგავართ!

ლუბოვ ანდრეევნა. მე კი, ეტუობა, სიუვარულზე დებლა ვარ... (საშინლად ღელავს) სად დაიკარგა ჩემი ძმა? ნეტა ვიცოდე რით დამთავრდა ვაქრობა! ნუთუ გაუიღეს ჩვენი მამული?.. არა, არა ეს უბედურება იმდენად შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ არც კი ვიცი, რა ვიფიქრო... მთლად დავიბნეო... მე შემოძლია ახლა დავივირო, რადაც ხისულელე ჩავიღინო... მიშველეთ, პეტია! თუ ღმერთი გწამთ, ილაპარაკეთ, თქვით რამე...

ტროფიმოვი. გაიყიდა თუ არ გაიყიდა თქვენი მამული, ამას წინშენლობა არა აქვს. მამული საქმე გათავებულა, უკან დახაზრუნებელი გზა არ არსებობს. დამშვიდეთ და თავს ნუ იტყუებთ, ერთხელ მაინც გაბედეთ და სიმართლეს თვალბში ჩახედეთ.

ლუბოვ ანდრეევნა. რომელ სიმართლზე გელაპარაკებით? თქვენ, ეტუობა, კარგად იცით, სად სიმართლეა და სად ტყუილი. მე კი, თითქოს ბრმა ვიყო, ვერაფერს ვხედავ. თქვენ სულ ადვილად შეგიძლიათ ურთულესი საკითხების გადაწყვეტა. წინ იურებთი თამამად, უშინრად, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ეს იმიტომ ხდება, რომ ამ თქვენი საკითხებიდან თქვენ პირადად, ჭერ არცერთი არ გამოვიცდით და არ გადაგიტანიათ?! იქნებ, მომავლისაც იმიტომ არ გეშინიათ, რომ თქვენი ახალგაზრდა თვალი ჭერ კიდევ ცხოვრებას ვერ ხედავს ისეთს, როგორც ის არი... მიკვირს, ღმერთმანი! კარგი კაცი ხართ, პატიოსანი, გაბედული, ჩვენ შორის, შესაძლოა, ყველაზე კეთილი, რატომ არ გინდათ ცოკათი მაინც დაუფიქრდეთ იმას, რაც ხდება და მითანაგრძნოთ, შემოცოდოთ მე უბედური?... მე ხომ აქ ვაიჯარადე, ამ ჭერქვეშ, ჩემი დედამაყე აქ ცხოვრობდა, პაპაჩემი და რა ექნა, გეთაყვა, მიუვარს ეს სახლი! მიუვარს! ალუბლის ბაღის გარეშე ჩემი ცხოვრება შეუძლებელია და თუ მაინც და მაინც ასე საქიროა მისი გაუიღვა, მაშინ მეც გამუიღონ ბაღთან ერთად! (მოუხვევა ტროფიმოსს, შეუღლი კოცნის) აქ ხომ ჩემი შვილი დაიღუპა, (ტროსს) შემობრალეთ, პეტია, მართლა ცოდვა ვარ...

ტროფიმოვი. დამიჯერეთ, სულთ და გულით გათანაგრძნობთ.

ლუბოვ ანდრეევნა. ეგრე არა, არა! სხვანაირად უნდა გეთქვათ!.. (ხელსახოცს ამოიღებს, ჭიბიდან დეპეშა დაუვარდება) ო, რა საშინელ გუნებაზე ვარ! ყველაფერი მაღიზიანებს... ეს ხალხიც, ეს ხმაურიც... სულ ვკანკალებ... ჩემ ოთახში წვილილი, მაგრამ სიჩუმის შემინია... ნუ დამძრახავთ, პეტია. თქვენ იცით როგორ მიუვარხართ და იმიტომ ვარ ასეთი გულახდილი... სიამოვნებით დავთანხმდებოდი, რომ ჩემი ანა ცოლად შეგერთოთ, მაგრამ, ძვირფასო... სწავლა უნდა დაამთავროთ, ასე არ იქნება! როდემდე უნდა იყოთ უსაქმოდ? სულ სადღაც დაეხტებთ... ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურია... განა სწორს არ ვამბობ? ამ თქვენ გაჩიოდ წვერსაც უნდა რამე მოუხერხოთ... (იციანს) არა, მა-

როლა გინდათ, სარკეს მოგიტანთ, იცით, რასასაცილო ხართ?!

ტროფიმოვი. (დეპეშას აიღებს და მიანჭვინქნულად კოწიარობაზე თავს არ ვდებ.

ლუბოვ ანდრეევნა. ეს დეპეშა პარიზიდანაა. ყოველდღე ვიღებ. გუშინაც მომივიდა, დღესაც... ის ველური კაცი ისევე ავად გამხდარა და მებვეწებია, ჩამოდიო, პატიებას მოხოვს... (პაულა) წესით კი უნდა წავსულიყავი, მიმხედია იმ უბედურისთვის... რატომ მოიღულეთ? მიკიხავთ? ანა, რა ექნა, ძვირფასო, ის საწული ავადაა, მარტოა და მე თუ არ მოვუარე, კეუა თუ არ დავარიგე, დროზე წამალი თუ არ დავადლევი, ვინ გააკეთებს ამას?... თუმცა, რა დასაძალია, ანდა რისი უნდა მრცხენოდეს... მიუვარს ის კაცი! დაიბ, მიუვარს! ვიცი, რომ ეს სიუვარული მარწუხივითაა და შეიძლება დამზარხოს კიდევ. მაგრამ უფიშინად ცხოვრება ამ შემოძლია... (ტროფიმოსს სახელოზე მოვებლატუქვავ; ოღონდ, ცუდად ნუ იფიქრებთ, ახლა არაფერი მოიხრათ!

ტროფიმოვი. მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, მაგრამ... იმ კაცმა თქვენ გაგმარცხათ!

ლუბოვ ანდრეევნა. არა, არა! ეგ არ თქვათ, სიცრუეა! (ყურებში თითებს დაიკობს)

ტროფიმოვი. ის არამზადაა! მარტო თქვენ არ გეხმით ეს ის სულმზაბალი არსებაა! გაიძვერათ! არარაობა!..

ლუბოვ ანდრეევნა. (ძალზე გულმოსულია, თუმცა ცდილობს თავი შეიკავოს) — ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლის ხართ და გომწინსტივით მსჯელობთ!

ტროფიმოვი. იყოს ასე!

ლუბოვ ანდრეევნა. მამაკაცობა გაკლიათ! თქვენს ასაკში ადამიანს უკვე უნდა ესმოდეს შეუვარებულა გულისთქმა, ასეთი შიამიტიკა უბრალოდ სასაცილოა! დასწყველოს ღმერთმა, თქვენ ახლა თვითონაც უნდა გჟავდეთ შეუვარებული! დაიბ! (გაბოროტებით) სიკეთის ნატამალიც არ ყოფილა თქვენში! ცინგლიანი ვილაც ყოფილხართ, სულელი და ამირებული (ხიზლით) დამხედეთ ერთი ამ მახინცს!

ტროფიმოვი. (თაყვარდაცემული) — რას ამბობთ, რას?!

ლუბოვ ანდრეევნა. (გამოაჯერებს) — „სიუვარულზე მალა ვდგავარო!“ სიუვარულზე მალა კი არა, ჩვენი ღირსის თქმისა არ იყოს, დოულაპია ყოფილხართ! გაგონილა, ამხელა კაცს საუვარელი არ შეუადვს?! სასაცილოა, მაშ რა არა?!

ტროფიმოვი. (გაოგნებულია) — ეს საშინელეება! ღმერთო ჩემო, რას ღლაპარაკობს?! (თაყვით ხელს იტაცებს, დარბაზისკენ გაემართება) არ შემოძლია, არა! მე წავალ... (მიდის და ისევ ბრუნდება) ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულა! (სწრაფად გადის დერეფანში)

ლუბოვ ანდრეევნა. (მოაძახებს) — მოიცათ, მოიცათ... რა უცნაური ხართ... მე ვიხუბრე, პეტია! (დერეფანში აჩქარებული ფეხის ხმა ისმის, — ვილაც კიბეზე ჩარბის. ამას საშინელი ხმაური



მოყვება. ანა და ვარა დერეფანში გაკვეთილიან. ცოტა ხნის შემდეგ იქიდან სასტუმროში მათი ხარხარი შემოიკრება)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . რ ა ა მ ბ ა ვ ი ა ?

ა ნ ა . (შემორბის სიცილით) — ტროფიმოვი კიბზე დაგორდა! (ისევ დერეფანში გავარდება)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . რ ა ა ხ ი რ ი ბ ე უ ლ ი უ ო ფ ი ლ ა ... (ნელა გადის დერეფანში, სასტუმროდან ჩანს: საღაურის უფროსი შუა დარბაზში გამოდის და ა. ტოლსტოის „ცოდვილ ქალს“ გამოთქმით კითხულობს. ყველანი უსმენენ. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზსა და სასტუმროს ვალსის მელოდია მოეფიხება. დელამაგია წყდება და სტუმრები ცეკვას იწყებენ. დერეფნიდან ტროფიმოვი, ანა, ვარა და ლუბოვ ანდრეევსა შემოდიან)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . მ ა მ ა ტ ი თ , პ ე ტ რ ა , ა რ ვ ი ც ო დ ი , ვ ე თ ი თ ჩ ვ ი ლ ი გ უ ლ ი თ უ კ ო ნ დ ა თ ... წ ა - მ ო ლ ი , ვ ი ც ე კ ვ ო . (ტროფიმოვთან ცეკვავს).

ი ა შ ა . (ფირსს) — რაო, ბებერო?

ფ ი რ ს ი . შ ე უ ძ ლ ო დ ვ არ ... წ ი ნ ა თ ჩ ე ნ ა ხ ა ლ შ ი , წ ვ ე - უ ლ ე ბ ს დ რ ო ს , ღ ე ნ რ ლ ე ბ ი , ბ არ ო ნ ე ბ ი და ა დ მ ი - რ ა ლ ე ბ ი ც ე კ ვ ა ე დ ნ ე ნ , ა ხ ლ ა კ ი ფ ო ს ტ ის მ ო ზ ე ლ ე ხ ა და საღაურის უფროსს ვეპატეებით და ისინიც ფებს ითრევენ... დავსუსტიდი ამ ბოლო დროს... განსვენებული დიდი ბატონი ყველას არაუჭე დაყენებული ლუქით მკურნაობდა, ყველანაირ ავადმყოფობას არჩენდა. მეც, ბარე ოცი წელია, ლუქსა ვსვამ და... იმიტომაც ვარ ალბათ ცოცხალი.

ი ა შ ა . გ უ ლ ი გა ა წ ა ყ ა ლ ე , ბ ე ბ ე რ ო . ნ ე ტ ა მ ა ლ ე ჩ ა მ ა დ - ლ დ ე ბ ო დ ე !

ფ ი რ ს ი . — ე ბ ... შ ე დ ო უ ლ ა მ ა ი ვ ! (ბურტყუნებს)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . (ტროფიმოვს) — ცოტა ხანს ჩამოვჯდები, დავიღაღე. (ჯდება. შემოდის ანა)

ა ნ ა . (აღღვებულია) — სამწარეულოში ერთ კაცს უთქვამს, ალუბლის ბაღი გაიყიდაო!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . ვ ი ნ ი ყ ი დ ა ?

ა ნ ა . ა რ ვ ი ც ი . (ტროფიმოვს საცეკვაოდ გაიწვევს და ორივენი დარბაზში გადიან)

ი ა შ ა . ვ ი ლ ე მ ო ზ ო უ ც ი ო უ , უ ბ რ დ ო ლ ბ დ ა რ ა ლ ა ც ა ს ...

ფ ი რ ს ი . ჩ ე ვ ნ ი ბ ა ტ ო ნ ი კ ი ჭ რ ა ც ა რ ჩ ა ნ ს ... თ ხ ე ლ ი პ ა ლ ტ ო ა ც ი ა , ე მ ა ნ დ რ ა გ ა ც ი ვ დ ე ს ! .. ე ბ , ა ხ ლ გ ა - ზ რ დ ო ლ ა ? !

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . გ უ ლ ი შ ე მ ი ღ ნ დ ე ბ ა ა ხ - ლ ... წ ა დ ი თ , ა შ ა , გ ა გ ი თ ვ ი ნ ი ყ ი დ ა .

ი ა შ ა . რ ა ლ ა დ რ ო ს ი ა , წ ა ვ ი დ ო ლ ა ის მ ო ზ ო უ ც ი . (იცი- ნის)

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . რ ა გ ა მ ი ნ ბ ე თ ? !

ი ა შ ა . ე პ ი ხ ო ლ ო ვ ე მ ე ც ი ნ ე ბ ა . მ ა რ თ ლ ა ჩ რ ი რ ჩ ე ტ ა . „ბედოვლოს“ ტყუილად კი არ ეძახიან!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა . (ფირსს) — ცუდი ფე- რი გადევს, შე საწყალო. ავად ხომ არ ხარ? წა- სულუიავი, დაგესენა...

ფ ი რ ს ი . (ჩაეცინება) — მე რო დავისვენო, თქვენ ვილა მოგმნახებრებთ? ჩემს მეთი სახლში არა- ვინაა...

ი ა შ ა . ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა , ე რ თ ი რ ა მ მ ი ნ დ ა გ თ ხ ო - ვ ო თ ... პ არ ი ზ შ ი რ ო მ წ ა ხ ვ ა ლ თ , მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა გ ა - ი ლ თ და მ ე ც წ ა მ ი ვ ა ნ ე თ ! ჩ ე მ ი ა ქ დ არ ჩ ე ნ ა უ ო -

ვ ლ ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ! (მიმოიხუდავს, სუძაღვ აბა, რა უნდა გითხრათ. თვითონაც ხედავს ჩანს მღვანე- მარცობა! ქვეყანა გაუნათლებელია, ხალხი გარ- უწვლია, თან საშინელი მოწყენილობაა. სამწარ- ეულოში, ბოლიში ამ სიტუაციისთვის და ღმერთთა იცის, რას აქმევენს. ... ეს ფირსიც აქ დაეთ- რება, რაღაც შეუფერებელ სიტუაცებს ბურტ- ყუნებს, წამიყვანეთ. უმორჩილენად გთხოვთ! (შემოდის პიშიკო)

პ ი შ ი კ ი ე . (ლუბოვ ანდრეევსა) — ნება მიბოძეთ, მშვენიერო, ვალსზე დაგაბატოთ! (ლუბოვ ანდრეევსა მიყვება) ას ოთხმოცი მანეთი კი, რო- გორც გენებოთ და.. (ცეკვავს) ას ოთხმოც მანეთს მინც გამოგართმევთ.

(დარბაზში გადიან ცეკვით)

ი ა შ ა . (ლიღინებს) — „ჩემი გულის მღვდლარებას თუ გაიგებ, თუ მიხვდები...“

(შუა დარბაზში, მოცეკვებია შორის, ნატრის- ფერ ცილინდრში და კუბოკრულ შარვალში გა- მოწყობილი ახალი პერსონაჟი გამოჩნდება. იგი ხელებს იქნევს და ხტის. მოისმის შეხახილები: („ბრაგო, შარლოტა ივანოვნა! ბრაგო!“)

ღ უ რ ი ა შ ა . (დარბაზიდან შემორბის და ფერუშა- რილს იცხებს) — ჩვენი ბარონა მეუბნება, იცე- კვეო, — კავალერი ბებრია, ქალები კი არ გუყოფნისო! მე კი ცეკვისაგან თავბრუ მხვებვა და გული მიფრთხილებს... (ფირსს) ფირს ნიკოლა- ევიჩ, ფოსტის მოხელემ ეს წუთია ისეთი სიტუ- ვები მითხრა, კინაღამ გული წამივიდა!

(მუსიკის ხმა მიჩნდება)

ფ ი რ ს ი . რ ა ო , რ ა გ ი თ რ ა ?

ღ უ რ ი ა შ ა . ე ვ ა ვ ი ლ ს გ ა ვ ხ ა რ ო !

ი ა შ ა . (დაამთქნარებს) — ღმერთო, რა უმცირებია! (ტუჩამარეზილი გადის)

ღ უ რ ი ა შ ა . ე ვ ა ვ ი ლ ს გ ა ვ ხ ა რ ო ... მ ე ის თ ი ა ა შ ი ზ ი ვ არ , სა შ ი ნ ლ ა დ მ ი ყ ვ რ ა ლ ა მ ა შ ი ს ი ტ უ ე ბ ი .

ფ ი რ ს ი . გ ა გ ა ვ ე ბ ე ნ ე ნ , ვ ო ლ ... ა ი , ნ ა ხ ა ვ .

(შემოდის ეპიხოდოვი)

ე პ ი ხ ო ლ ო ვ ე . (ღუნისას) — ავღოტია ფედორო- ვნა! თქვენ, როგორც ვატუბო, ჩემი დანახვა არ გაზურთ. ისე შექცევით, თითქო მე მწერი ან რა- ცი ინფუზორია ვიყო... (ამოხუბრით) ებ, ცხო- ვრებას რა ვუთხარო!

ღ უ რ ი ა შ ა . (მედიდურად) — რა გნებავთ?

ე პ ი ხ ო ლ ო ვ ე . სავესებით შესაძლოა და, რასაკვი- რველია, მართალიც ბრძანდებით. (ისევ ამოიხ- რავს) მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით თუ მივუღდებით ამ საკითხს, მაშაბით ამ გამოთქ- მისათვის და თავს უფლებას მივცემ მოგახსენ- თო, რომ თქვენ, ასე ვთქვათ, სულიერ მღგო- მარობაში ჩამაყენებ... დიახ, ჩემი ფორტუნა ჩემთვის ცნობილია, ყოველდღე რაღაც უხედლ- რება უნდა შემემთხვას, მაგრამ მე შევეჩვიე ამას და ჩემ ბედებლავს გაღიშებული შეეცქერი. თქვენ, თუ გახსოვთ, პირობა მომიცით...

ღ უ რ ი ა შ ა . ს ხ ვ ა დ რ ო ს ვ ი ლ ა პ არ კ ო თ , მ ე ა ხ ლ ა ვ ო - ც ნ ე ბ ო ბ . (მარაოს ხელში ათამაშებს)

ე პ ი ხ ო ლ ო ვ ე . უ ბ ე დ უ რ ე ბ ა ს შ ე ვ ე რ ვ ი ე - მ ე თ ი კ ი და მ შ ო ლ ო დ ვ ი ღ ი მ ე ბ ი , ა ნ დ ა , მ ა მ ა ტ ი თ ა მ გ ა მ ო თ ქ - მ ის ა თ ვ ის , უ ბ რ ა ლ ო დ ვ ი ც ი ნ ი .



(შემოდის ვარა)

ვარა. (ეპიხოდოეს) — შენ ჭერ არ წასულხარ? რა უპატივცემლოდ იქცევი, სიმონ! (ღუნიაშას) წადი აქედან. (ეპიხოდოეს) ვითომ რაო, სტუმარად ვით რომ გიჭირავს თავი? ან ის რა იყო, ბილიარდის კია რომ გატებე?

ეპიხოდოესი. ჩემი ამბავი, სხვათა შორის, თქვენ არ გეცითებათ.

ვარა. დალოცვილო, კი არ გიჭაგრდები. უბრალოდ გიბოძარი, უსაკმოდ ნუ დაეხეტები-მეთქი! შენი ადგილი აქ არ არი. წადი და საქმეს მიხედ. კანტორის მოხელედ ამისთვის კი არ დაგიჭირავთ, უნდა იმუშაო.

ეპიხოდოესი. (ეწყინება) — ვშუშობო თუ დავადივარ, ვკამ თუ ბილიარდს ვთამაშობ, ამ საკითხზე თქვენ კი არა, საქმეში ჩახედულმა ხალხმა და ჩემმა უფროსებმა უნდა იმსჯელონ. თქვენ ეს არ გეცითებათ!

ვარა. (აფეთქდება) — როგორ მიბედავ?! მამ შე არაფერი მისმინე? გაეთრიე აქედან!

ეპიხოდოესი. (ცოტა დამფრთხალი) — ჩე გთხოვთ, ზრდილობიანი გამომქმები იხმაროთ... ვარა. (გაცეცხლებული) — გაეთრიე-მეთქი, თვალით აღარ დაგინახო!

(ეპიხოდოესი მიდის, ვარა გეცილება) უფურე ამ ბედოვლათს?! ჰო, რას მომჩრებიხარ? მიჩრძანდი, მიბრძანდი! აბა, ვაგებედი და აქ შემოსულხარ, თავს ვაგებეთქვე! (ეპიხოდოესი გაიძრწება, ვარს უყარ მისი ხმა ისმის: „შე თქვენ ვიჩივლებთ!“) კიდევ მოძებნი? (კართან მყოფდებულ ქოხს ხელს დაავლებს) მოდი, თუ ბივი ხარ! შე შენ ვაჩვენებ... (ქოხს მოიქნებს, ამ დროს სასტუმროში ლოპახინი შემოვა.)

ლოპახინი. დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ვარა. (გაბრაზებულა, თან შეწუხებული, ოღნავ დამკინავად) — შაპატიეთ... ლოპახინი. არაფერია... დიდად მასამოვნეთ. გამადლობო!

ვარა. არ ღირს. (ოღნავ მოღებვა) გეტყინათ? ლოპახინი. ისე რა... კოპი კი ნამდვილად დამაჯდება.

(ღარბაზში დაიძახებენ: „ლოპახინი ჩამოსულა! ერმოლაი აღექსეინი!“)

პიშჩიკი. ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! (გადახეხევა და კოცინის) კონიკის სუნი გდის, საყვარელო, ეტყობა, გიქეფთია! ჩვენც, როგორც ხედავ, ვმზიარულობთ! (სწრაფად შემოდის ლუბოვ ანდრეევანა)

გაევი. მარჯვენა ხელში საყიდლები (ეპიხოდოესი, მარცხენაში კრემლს იწმენდს)

ლუბოვ ანდრეევანა. (პაუზის შემდეგ) გორაა საქმე, ლეონიდ? (მოუთმენლად, ლამის ატირდეს) ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ!

გაევი. (ხელს ჩაიჭნებს და ფირს მიუბრუნდება) — აი გამომართვი. სარდალა თევზია და ქერჩის ქაშაყი... დილიდან არაფერი მიჭამია... ღმერთო ჩემო, რა გადავიტანე! (საბილიარდოს კარი ღიაა, იქიდან ბურთების კნაპუნები და იაშის ხმა ისმის: „შეიდი და თვრამეტი!“ ვაევის სახე დაუმშვიდდება, იგი აღარ ტირის) საშინლად დავიდალე... წამომევი, ფირს, ტანსაცმელს გამოვიცვლი... (მიდის, ფირსი მიუცვია)

პიშჩიკი. (გაეცილება) — მამ, ვაჭრობა შედგა? მოივა, კაცო, ვაგვაგებინე რა მოხდა? ლუბოვ ანდრეევანა. (პაუზის შემდეგ) — როგორაა საქმე ლეონიდ? (მოუთმენლად, ლამის ატირდეს) ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ!

ლოპახინი. გაიყიდა. ლუბოვ ანდრეევანა. ვინ... იყოიდა? ლოპახინი. (პაუზის შემდეგ) — მე ვიყიდე. (ხანგრძლივი პაუზა)

(ლუბოვ ანდრეევანა წაბარბაცდება, თვალის დახუჭავს და რომ არ წაიქცეს, სავარძელს დაეყრდნობა, ვარა წელზე დაკიდებულ გასალებების აცმას მოიბრძობს, შუა ღარბაზში იატაკზე დაანარცხებს და გადის.)

ლოპახინი. მე ვიყიდე... მოიცათ, ბატონებო... ღვთის გულსათვის მოიცათ... გონება დამიბნეულა და ლაპარაკი მიჭირს... (იკინის) მამ ასე, თავიდან დავიწყებ... ბაზრობაზე მივედიო, ღერიგანოვი, რასაკვირველია, იქ დავგვხდა. ლეონიდ ანდრეევიჩს ვიჭევა მხოლოდ თბუთმეტრათასი ჰქონდა, ღერიგანოვმა კი თავიდანვე, ვალს ზევით ოცდაათი ათასი გამოაცხადა... ვხედავ, საქმე ცუდადაა. შევევაკრე და ორმოცი დავიძახე, იმან — ორმოცდახუთიო, მე — ორმოცდათბუთმეტრი... და ასე: ის თანდათან ხუთ-ხუთს უმატებდა, მე კი ათზე ნაკლებს არ ვიძახებ... ბოლოს, იმით გათავდა, რომ მე, ვალს ზევით, ოთხმოცდაათი ვოქვი და... აღუბლის ბალი ჩემია! ჩემი (ხარხარებს) ღმერთო დიდებულო, ალუბლის ბალი ჩემია!.. მიიხარით, გეთაყვა, იქნებ მთვრალი ვარ? იქნებ მკუაზე არა ვარ? იქნებ ეს უყვლედევი მესიზმრება? (ფეხებს აბაკუნებს) ნუ დამკინით. ნუ ნეტა ახლა საფლავიდან მამაჩემი და პაპაჩემი წამოაყენა, რომ საყუთარი თვალით დაენახათ, საყუთარი ყურით გაეგონათ, რაც მოხდა!.. მათმა ნაშიერმა ერმოლაიმ, წერაკოტხის უცოდინარმა, სოფელმა ბიკმა ერმოშკამ, უყვლა რომ თავში უტყაყუნებდა, ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველი რომ დარბოდა, მამული იყიდა! თან რა მამული? რომლის მხგავსი ქვეყანაზე არ მოიძებნება!.. მე, მე ვიყიდე. მე დავეპატრონე ამ მიწას, ამ კარმიდამოს, ამ სახლს, სადაც მამაჩემი და პაპაჩემი ყუბი იყვნენ და მათ სამაზრელოს იქით არ უშვებდნენ! არ მჭერა, არა, ღმერთმანი, არ მჭერა! ეს შეუძლებელია!.. იქნებ სიზმარში ვარ? იქნებ ეს უყ-



ლაფერი თქვენი ფანტაზიის ნაყოფია და სინამდვილეში არაფერიც არ მომხდარა?! (იატკეზე დაეძვებულ ვასალებებს აიღებს, ალერსიანად გაეღიმება) ვასალები გადაადგო... აქაოდა, ამ სახლის პატრონი აღარა ვარო... (ასხამს ხელში შეთამაშებს) დე, ასე იყოს... სულერთია.

(დარბაზში ორკესტრი დასაკრავად ემზადება, მუსიკალური ინსტრუმენტების არეული ხმა ისმის)

თქვენ, ეი! რომელი ხართ მანდ? მუსიკის მოსმენა მსურს! ყველანი აქ მოდიით! მოდით და ერთმონა ლოპახინს შეხედეთ! თქვენი თვალით დაინახეთ, როგორ მიადგება ცულით ხელში ალუბლის ბაღს და ძირფესვიანად გადაჩრებას!...

დაინახეთ, როგორ დაემოხიან მიწაზე ალუბლის ხეები... მერე აქ აგარაკები აუწნდება და ჩვენი შვილები, იმთავით შვილი და შვილიშვილები ასალ ცხოვრებას დაიწყებენ... მუსიკავ, დასცხე!

(მუსიკის ხმა ისმის, ლუბოვ ანდრეევსა სავარძელში ჩაეშვება და ტირის, ლოპახინი მიუახლოვდება)

რატომ არ დამიჩერეთ? რატომ? დამშვიდდით, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო... ახლა უკვე გვიანაა, ვეღარაფერს დაიბრუნებთ! (ერემლი მოეცემა) ღმერთო ჩემო, ნეტა მალე გათავადებოდეს ეს ღატკა, რადაცნაირად მაინც შეჩვევას ჩვენი უხეირო და უზადრუკი ცხოვრება!

მ ი შ რ ა ო. (ხელს გამოსდებს, ხმადაბლა). — ნუღარ შეგაწუხებთ, დარბაზში გავიდეთ. (დარბაზში გააქვს).

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. რა ამბავია, რა მოწყენილობაა? მუსიკავ, დასცხე! მყოფოდ დაუკარიო! ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მე მსურს! (ირონიით) ახალი მემამულე მოდის, ალუბლის ბაღის პატრონი! (უცებდად მაგდას ფეხს წამოყრავს და ზედ დადგმული ძვირფასი ვერცხლის შანდალი შექანდება) ჩანი გავარდეს, ყველაფერს გადავიხდი! (პიშიკოთან ერთად გადის)

(სასტუმროში და დარბაზში აღარაინაა, მარტო ლუბოვ ანდრეევსა მოკალათებულა სავარძელში და ჩუმად ქვითინებს, სწრაფად შემოდინ ანა და ტროფიმოვი. ანა დედას მიუახლოვდება და მის წინ დაიჩქებს, ტროფიმოვი დარბაზის შესასვლელში გაჩერდება)

ანა. დედა, დედაცო! ჩემო კეთილო, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო... ნუ სტირი, საყვარელო! მე ხომ მიყვარხარ... მე ხომ შენთან ვარ... ალუბლის ბაღი გაიყიდა. იგი უკვე აღარ არსებობს... ეს მართალია, მაგრამ ნუ სტირი, შენ ხომ ცოცხალი ხარ, ხომ შეინარჩუნე შენი უმწიკვლო, სუფთა ხული წამოდი ჩემთან, საყვარელო... წავიდეთ აქედან, ნუ დარდობ. ჩვენ ახალს, ამაზე უკეთეს და დიდებულ ბაღს გავაშენებთ, შენ მას კიდევ იხილავ, მისი სილამაზით დატკბები და შენს სულში ისევ, როგორც მთის უბეში ჩასული მზე, წუნარი და რუსაღრო სიხარული დაივანებს... და შენ მაშინ გაიღიმებ, დედა, გაიღიმებ და ისევ ბედნიერი გახდები! წამოდი, საყვარელო, წავიდეთ...

უ ა რ ღ ა

პირველი მოქმედების დეკორაცია, მუხრანოვიწვევ ფანჯრებს ფარდები აღარ აფარია და კედლებზეც სურათები არ ჩანს. მკერდილი აუჯვრია დარბაზი, ისიც კეთხეშია მიდგმული, თითქო გასაყიდად გამზადდეს.

სიცნაზე უცნაური სიცარიელე სუფევს. კართან, რომელსაც ბაღში გაყვავათ, აგრეთვე სცენის სიღრმეში, — ჩემოდნები, ფუთები და სხვა, სანგზავროდ გამზადებული ნივთები აწევიან. მარცხენა კარი ღიაა, იქიდან ვარას და ანას ლაპარაკი ისმის. შუა ოთახში ლოპახინი დგას და ელოდება. იაშას ხელში ლახვარი უჭირავს — ზედ შამპანურით გავესებული სირჩებია. დერფანში ეპიზოდოვი ხის ყუთს ლურსმეებს აქედებს... სცენის მიღმა ხალხის მოგუდული ყავანი ისმის: ეს გულები მოსულან ბატონებთან გამოსამშვიდობებლად. გვეის ხმა: გმადლობთ, მძებო! დიდი მადლობა!

იაშა. მდაბიო ხალხი მოსულა გამოსახოვებლად... მქე იმ აზრისა ვარ, რომ ამ ხალხს კეთილი გული აქვს, მაგრამ არაფერი გაეგება!

(ყავანი წუდება. დერფინიდან ლუბოვ ანდრეევსა და გავეი შემოდინან. ლუბოვ ანდრეევსა აღარ ტირის, მხოლოდ ძლიერ ვაფთხრებულა, სახე ემანჭება და ლაპარაკი უჭირს.)

გ ა ე ვ ი. აბა, ეს საქმე? მთელი საფულე არ უქე! არ შეიძლება ასე, ლუბა, არა!

ლ უ ბ ო ვ ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. რა ქნა, სხვანაირად არ შეიძლება! არ შეიძლება სხვანაირად! (მედიანი)

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. (ხმას დაადევნებს) — ბატონებო! მობრძანდით, სატალახო მაინც დაულიოთ! თითო ჰქნა გამოსამშვიდობებლად... ქალაქში ვერ მოვიფიქრე ყვივა, სადავტოლი კი ერთი ბოთლან მეტი არ აღმოჩნდა... მობრძანდით! (პაუზა) მაშ, არ გინდათ? ეკ, ბატონებო, ბატონებო... კარს მოშორდება) რომ მცოდნოდა, — არ ვიყიდდი... მარტო ხომ არ დაუღვე! (იაშა ლანგარს ფრთხილად სკამზე ჩამოადგამს) შენ მაინც დალე, იაშა.

იაშა. წამსკლედ-დამარტოს გაუმარტოს ბედნიერად გამყოფიო! (სვამს) ეს შამპანური ნამდვილი არ უნდა იყოს.

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. არ ვიცი, რვა მანეთი კი მივეცი! (პაუზა) ცივა, ეს ოხერი!

იაშა. დღეს ფერი არ აგვინთია, მაინც მივივიარო... (გაეცინება)

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. რა მოგვიდა?

იაშა. მესიამოვა და ვიცინი.

ლ ო პ ა ხ ი ნ ი. ოქტომბერია, მზე კი როგორ ანათებს, თან რა სიჩუმეა, ზაფხული გეგონება! სწორედ ასეთ დროს უნდა დაიწყო კაცმა მშენებლობა... (საათს დახედავს და კარს ვასძახებს) ბატონებო! მტარებლის გავსკამდე წუსტად რომ მოდებავს წუთი დარჩა ოცი წუთის შემდეგ სადგურში უნდა წავიდეთ! იქარეთ! (შემოდის ტროფიმოვი, პალტო აცვიან)

ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი. მე გგონი, წასვლის დროა, ეტლებიც მზად არი... დასწყევლოს ღმერთმა, ჩემი კალღონი რა იქნა? (კარში) ანა არც აქ ყოფილა!



ვერ ვიპოვენი!
 ლოპახინი. მეც თქვენს მატარებელს გავუვები, ხარკოვიც საქმე მაქვს. იქ, ალბათ, მთელ ზამთარს დავრჩები... არ შემიძლია უსაქმოდ უოფნა! თქვენი გადაწყვეტილება პირდაპირ გავიტანე! ამ ხელის აღარ ვიცი რა ვუყო. ისე უცნაურად მკიდა, თითქოს მე არ მეკუთვნოდეს!

ტროფიმოვი. აი, წავალთ და ისევ თქვენ სასარგებლო საქმეს დაუბრუნდებით.

ლოპახინი. შამანურს დაღვთო?

ტროფიმოვი. არ მინდა.

ლოპახინი. მაშ, ახლა მოსკოვში?

ტროფიმოვი. პო. ჩვენებს ქალაქში გავაცილებ და ხვალ მოსკოვისკენ გავწევ.

ლოპახინი. იქაური პროფესორები ალბათ ლექციებს აღარ კითხულობენ, სულ თქვენ მოლოდინში არიან!

ტროფიმოვი. შენ არ გეკითხება!

ლოპახინი. რამდენი წელია, რაც უნივერსიტეტში სწავლობ?

ტროფიმოვი. დალოცვილო, სხვა რამ გეთქვა, ამ ხუმრობას უავლი გაუვიდა! (კალოშს ეძებს) იცი, რა... ჩვენ, ალბათ, უკვე აღარ შევხვდებით და ნების თუ მომცემ, წასვლის წინ, ერთი რამ მინდა გირჩიო: ხელედა ნუ იქნევი! მოიშალე ვე უშნო ჩვეულება — ხელედას ქნევა ის შენი უბადალეული ავარაკების მშენებლობაც. ის ვარაუდიც, რომ მოავარაკენი თავის დროზე მეპატრონები გახდებიან, — ეს უველაფერი ხელედას ქნევა... პოდა, მოიშალეთ, თუ ღმერთი გწამს! ასეა თუ ისეა, მე მაინც მიყვარხარ და შენთვის სიყვითე მინდა ... თითები გაქვს უცნაური: ნაზი და ჩაშოქნილი, თითქოს არტიტი იყო... სულაც მგრძნობიარე გაქვს.

ლოპახინი. (გულაუფებული მოგებევა) — მშვიდობით, ჩემო კარგო! მადლობელი ვარ... გინდა, ფულს მოგცემ, გზაში დაგპირდება.

ტროფიმოვი. რა საჭიროა?

ლოპახინი. უფულოდ რომ ხარ?

ტროფიმოვი. ვინ გიბოზრ? დღეს თარგმანში მივიღე. აი, აქ მიღვეს! (გინებზე ხელს დაიკრავს) მაინც გმადლობთ. (შეშფოთებული) სად დაიკარგა ის ობერი კალოში?

ვარა. (გვერდით ოთახიდან) — ინებეთ თქვენი სიამაგებნი! (სტენაზე ვადმიოსერის წყვილ კალოშს)

ტროფიმოვი. რა გაჯავრებს, ქალო?... (დახედავს) ეს ჩემი კალოში არ არის!

ლოპახინი. წლებულს გავაფხულზე ათასი დგენტინა ხაშხაში დაუთესე და ორმოცი ათასი მანეთი მოგება მერგო! უნდა გენახა, რა ლამაზად ჰყუროდა ჩემი ხაშხაში!... პოდა, იმას ვამბობდი, ორმოცი ათასი სუფთა მოგება მერგო-მეთქი. რამდენიც გინდა შემიძლია გასეხსო.. ცხვირს რატომ იბზუებ? მე, ძმარ, უბრალო კაცი ვარ, გლეხის შვილი, და ალბათ გულით გეუბნები!

ტროფიმოვი. მამაშენი გლეხი იყო, მამაჩემი — აფთიკარი. რა განსხვავებაა? ეს არაფერს არ ნიშნავს. (ლოპახინი საფულს ამოიღებს) შეინახე, არ მინდა. ორასი ათასიც რომ მომცე, არ ავიღებ. მე თავისუფალი კაცი ვარ. უველაფერი,

რასაც თქვენ, მდიდრებიც და მათხოვრებრიც, ასე დიდად დაესებთ, ჩემზე არავითარ უკმარებელს არ ახედნს, ისევე, როგორც მავალთაგან მტერი ან ბუზბული, პაერში რომ დაფრინავს... უთქვენოდაც მშვენიერად გავძლები ისე ჩავივლით გვერდით, რომ ზედაც არ შემოგხედავთ! ამჟამი ვარ და ძლიერი! კაცობრიობა უმაღლესი ქტშმარტიბისაკენ მიისწრაფვის, ბედნიერებას ეწაფება, და მის პირველ რიგებში თუ ვინმე მიაბიჭებს, მათ შორის — მეცა ვარ.

ლოპახინი. მიხვალ კი, იმ შენ ქეშმარტიბასთან თუ ბედნიერებასთან?

ტროფიმოვი. (დაბეჭითებით) — მივალ. (პაუზა) მე თუ ვერ მივედი, სხვებს მივანწავლი გზას! (გარედან ოთახში ცულის კაცუნი შემოიჭრება) ბაღში უკვე ხეებს ჩეხავენ...

ლოპახინი. მშვიდობით, ჩემო კაოგო... წასვლის დროა. ჩვენ აქ ერთმანეთის წინაშე ცხვირს ვიბზუებთ. ვიჭიმებით, ცხოვრება კი ამ დროს მიდის და თითებშუა გვეკულებ... მუშაობაა საჭირო, მუშაობა! დღებანს რომ ვჭრობობ, დაღდაც ვერ ვვარძობ, ფიქრიც მიაღვივდება და ასე მგონია, ჩემთვისაც გასაგები ხდება რისთვის ვარსებობთ ამქვეყნათ... არადა, რამდენია რუსეთში ისეთი, ვინც თვითონ არ იცის, რისთვის ცხოვრობს!... (პაუზა) ლოინი დანდრიქის, ამბობენ, ბანკში ადგილი მიუღიაო, ექვსი ათასი ექნება... მტი არაა ჩემი მტერი, რაც იმან იქ იმუშაოს! ზარბაცია.

ანა. (კარში გამოჩნდება) — დედამ გოზოვთ, სანამ ჩვენ წავალ, ხეებს ნუ მოჭრიან!

ტროფიმოვი. მართლაც, რა უტიფრობაა! ვეღარ მოიკადნს?! (გაგულსებული ვადის დერეფანში)

ლოპახინი. ახლავე, ახლავე... რა ხალხია, ღმერთო! (ტროფიმოვს მიუვება)

ანა. ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

იანა. დილით უნდა წაუყვანათ, მე დაეუბარე.

ანა. (შემოსულ ეპიხოდოსს) — სიმონ! გაიკეთ ერთი, ფირსი თუ წაიყვანეს საავადმყოფოში.

იანა. (თიბრიბება) — ხომ გითხარით, დაუბარე-მეთქი, ეგორს უნდა წაუყვანა. ასტერ ხომ არ ვეცუდი!

ეპიხოდოვი. ღრმად მოხუტებულ ფირსს, ჩემი საბოლოო აზრით, ვერავითარი შეკეთება ვეღარ უშველის... მისი ადგილი სასაფლაოზეა და, მართალი გითხარით, მშურს კიდევ მისი. (ჩემოდანს მუყაოს კოლოფზე დადგამს და კოლოფი ჩაიჭურტება) აი, ხედავთ? ასეც ვიცოდი. (ვადის)

იანა. (დაცინება) — ბედოვლაო!

ვარა. (კარს უქან) — ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში.

ანა. წაუყვანათ.

ვარა. აბა, ეპიხოსთვის გადასაცემი წერილი აქ რომ დარჩა?

ანა. დააწერდებოდათ, გავატანოთ ვინმეს.

ვარა. (კარს უქან) — იანა სად ბრძანდება? ვადაცით, დედამისი მოვიდა, უნდა გამოემშვიდობოს!

იანა. (ხელს ჩაიქნევს, გაგულსებული) — მოთმინებითაა გამოიყვანენ კაცს.

(დღინაშა ამ დროს ბარგთან ფუსტუებს. იგი



დინხაგს, რომ იაშა მარტოა და მიუახლოვდება) დუნიაშა. ერთხელ მაინც შემხედეთ, იაშა... მამ, მიღიხართ და ბოგებთ? (ატირდება და მოგზავნა)

იაშა. (მოცილებს) — ემარა, ემარა... რა საჭიროა ცრემლი? (შამპანურს სვამს) მივდივარ, დიახ... ექსის დღის შემდეგ ისევ პარიზში ვიქნები, ხვალ სასწრაფო მატარებელი ჩავსხდებით და... ადრე! კარგად შეულოთ! ღმერთო ჩემო, არა მგერა, თუ ასე იქნება ვივ და ფრანსს უელში ამოვიდა თქვენთან ცხოვრება. რას იზამ? ველურობას გადავჩვიე და მივიკრს კიდევ თქვენს გაუნათლებელ საზოგადოებაში ამდენ ხანს როგორ ვავძელი! (შამპანურს სვამს) აბა, რა გტირებთ? წესიერად მოქცეულიყოფით და აღარ იტირებდით.

დუნიაშა. (იბუღრება, სარკესი იყურება) — პარიზიდან წერილი მაინც მოიწერეთ, მე ხომ მიყვარდით, იაშა... ო, როგორ მიყვარდით! არ ვიცი, უთქვენოდ როგორ ვავძლებ!

იაშა. აქეთ მოდიან... (ბარჯს უტრიალებს და ჩუმიად ლილინებს) (შემოდიან ლუბოვ ანდრეევნა, გაევი, ანა და შარლოტა)

გაევი. წავიდეთ, თორემ დაეგვიანებთ. (იაშას მიმართულებით) დაჰწყვეტოს, ისევ ქათის სუნის მტეხს!

ლუბოვ ანდრეევნა. ათ წუთში წავალთ... (ოთახს თვალს მოაკვებს) მშვიდობით, ჩემო სახლო, ჩემო ტუბილო და ბებერო სახლო! ზამთარი გვა, ზაფხული დადგება და შენ უკვე აღარ იქნები, დაგანგრევენ, ო, ღმერთო! რამდენი რამ ახსოვთ ამ კედლებს! (ანას ხარბად კოცნის) ჩემო საუნჯე, ჩემო ანგელოზო... შენ იცინი, შენი თვალები აღმასებოვით ბრწყინავენ... კმაყოფილი ხარ? გიხარია?

ანა. მიხარია, დედა! ახალი ცხოვრება იწყება!

გაევი. (გახალისებული) — მართლაც, ლუბა, ხომ იცის უველაფერი კარგად მოეწყო. სანამ ალუბლის ზალს გაყიდდნენ, ყველანი ველვაკით, ვწუხდით, გამოსავალს ვეძებდით, ახლა კი, საბოლოოდ რომ გაირკვა მდგომარეობა, გული დაგვიშვილდა და გავმხიარულდით კიდევ... მე, მაგალითად, ამჟამად ბანკის მოხელე ვარ, ასე ვთქვათ, ფინანსისტი... რითაა ცული? დუქლებით შუაში ვურტყავ! შენი, ჩემო დამ, ასეთ თუ ისეთ, უკეთესად გამოიყურები. ვანა ასე არ არის, ბატონებო?

ლუბოვ ანდრეევნა. ჰო, ასეთი. ნერვები დამიწუნარდა. (შლიაპას და პალტოს მიართმევს) უკეთესად მიინავს... იაშა, ჩემო ხელბარგი გაიტანეთ... (ანას) ჩემო გოგონავ, ჩვენ მალე ისევ შევხვდებით. პარიზში, ალბათ, დიდხანს არ ვავჩრდები. ის ფული, შენმა იარსილადეგმა ბებიაში მამულის გამოსასყიდად რომ გამოგზავნა, — გაუმარჯოს ბებიას! — სულ ცოტა ხანს შეყოფა...

ანა. შენ მალე დაბრუნდები, დედა, სულ მალე. მე დარწმუნებული ვარ. ამასობაში ვიშეცადინებ, გინაზოში გამოცდებს ჩავაბარებ და სამსახურში

მოვეწყობი. თუ გაგიჭირდა, დაგეხმარები კიდევ! მერე კი სულ ერთად ვიქნებით, ერთად წავიქცეთ ხავთ საინტერესო წიგნებს... (ღუღუნს) (ღუღუნს) (ღუღუნს) უკოცნის) შემოდგომით, საღამო ხანს ზუხართან დავსხდებით, წიგნებს წავკითხავთ და ჩვენს წინაშე ახალი, გასაოცარი საშუარო გადაიშლება... (ოცნებაში) შენ ოღონდ მალე ჩამოდი, დედა! ლუბოვ ანდრეევნა. ჩამოვალ, შვილო... რასაკვირვებლად, ჩამოვალ. (ეხვევა, კოცნის) (შემოდის ლოპახინი, შარლოტა ჩუმიად აღილინდება)

გაევი. ბედნიერია შარლოტა, მღერის! შარლოტა. (ერთ-ერთ ფუთას აიღებს, ჩველი ბავშვივით გულში ჩაიკრავს და უნანავებს) — ჩემო შვილო, ჩემო პატარავ... ნანა, შვილო, ნანა...

(მოსის ბავშვის ღნავილი: „უააა!“) სუ. გენაცვალე! ნუ ტირი, ჩემო ბიჭიკო! („უაა! უაა!“)

ო, როგორ მეცოდები... (ფუთას გადაადგებს, ლოპახინს)

მამ, თვეს სამსახურს მიირდებით? იმედა, სიტყვას არ გადახვალთ, უსაქმოდ უფნა არ შემოძლია!

ლოპახინი. სადმე მოგაწყობთ, შარლოტა ივანოვანა. უეჭველად.

გაევი. უველანი გვემორდებიან, ვარინჯაც მიღის... აღარავის არ ვეპირდებით.

შარლოტა. ქალაქში სად ვიცხოვრო? არადა, უნდა წავიდე... (ლილინებს) ექ, სულერთია! (სწრაფად შემოდის პიშჩიკი)

ლოპახინი. ბუნების სასწაული გვეწვია! პიშჩიკი. (სულს ძლიერ ითქვამს) — ვაიმე... მაყალღით, სული მოვითქვა... გავწვალდი კაცი... საღამო, პატრიცემულლო!... წყალი დამალევივით, თუ ღმერთი გწამთ...

გაევი. ფულის სასხებლად მოვიდოდა... მამა გიცხონდა, დიახ! წავედი მე. (გადის)

პიშჩიკი. რა ხანია თქვენთან არ ვყოფილვარ... (ლუბოვ ანდრეევნას) უღამაზესო... (ლოპახინს) დაპარტობა შენში... მიხარია, რომ გხედავ... უზარმაზარი ჭკუის კაცი ხარ... ამა, აიღე... გამომართვი... (ფულს გაუწვდის) აქ ოთხასი მანეთია, რვაასორმოცი ჩემზე იყოს.

ლოპახინი. (გაკვირვებით მხრებს აიჩქარავს) — სიზმარში ხომ არ ვარ? სად იშოვნე?

პიშჩიკი. მაყალღით ერთ წამს... უჰ, ცხელა! სასწაული ამბავი მოხდა. ინგლისელები ჩამოვიდნენ და ჩემს მამულში რაღაც თეთრი თიხა აღმოაჩინეს! (ლუბოვ ანდრეევნას) თქვენი, უღამაზესო, აი... ოთხასი მანეთი, ინებეთ. (ფულს აძლევს) დანარჩენს მერე მოგართმევი. (წყლის სვამს) ახლახან, ვაგონში, ერთი ახალგაზრდა კაცი უვებოდა, თითქოს ვიღაც გამოჩენილი ფილოსოფოსი აღმოჩნდებოდა სახლის საბურავიდან გადმოხტომას ურჩევდო... „გადმოხტითო, — უთქვამს — და უველაფერი ერთ წუთში გაირკვევია!“ (გაოცებული) ბედად შენ, რაში უფოელა საქმე?! წყალი..

ლოპახინი. (დინტერესებით) — ვინ ინგლისელები არიან?

პიშიჩიკი. არ ვიცი... მიწის ნაკვეთი იქართ მივეცი... ოცდაოთხი წლის ვაღი... ახლა კი, მამაკრივთ, გაქვყავზე ვარ, არა მცალია... ზნოიკოვთან უნდა მივიდე, კარდამოწოვთან... უველასი მშართებს... (წყალს სვამს) კარგად მენახეთ! ოთხშაბათს გინახულებთ...

ლუბოვ ანდრეევნა. ჩვენ ქალაქში გადადევართ საცხოვრებლად... მე კი ხვალ სახლვარგართ...

პიშიჩიკი. რა? (შეშფოთდება) ქალაქში? ღმერთო ჩემო... მეც არ ვიფიქრე, ეს ავეცი, ეს ჩემოდნები... თუმცა არა უშავს... (ცრემლი მოადგება) არაფერია... უდიდესი ჭკუის ხალხია ის ინგლისელები... არა უშავს... ღმერთი შეგწვევით... ბედნიერებას გისურვებთ... არა უშავს, უველაფერს ამქვეყნად ბოლო აქვს... (ლუბოვ ანდრეევნას) (ხელზე კოცნის) ერთი რამ მინდა გთხოვოთ... ვინცოდა, ჩემი აღსასრულის ამბავს თუ გაიგებთ, გაიხსენეთ ის... ცხენი... და თქვით: „ასეთი და ასეთი ცაკი იყო-თქო, სემიონოვ-პიშიჩიკი, ღმერთმა შეიწუალოს-თქო!“ გადასარევი ამინდია დღეს... მო... (სამინდოდ აღუღებულ მიდის, მერე დაბრუნდება და კარშია ვაჩერდება) მო, მართლა... დაშენჯამ მოკითხვა შემოგითვალათ... (გადის)

ლუბოვ ანდრეევნა. ახლა კი წავიდეთ, მგონი უველაფერი მოვაგვარე. ორი საზრუნავია დამარჩა: ერთი — ავადმყოფი ფირსია. (საათს დახედავს) ხუთი წუთი კიდევ გვაქვს.

ანა. ნუ წუხარ, დედა. ფირსი უკვე საავადმყოფოშია, იაშმა გადაუყვანია ამ დილით.

ლუბოვ ანდრეევნა. მეორე სადარდებელი ვარინჯა. ადრე ადგომასა და შრომას მიეჩვია და ახლა უსაქმოდ რომ დარჩა, წულიდან ამოგდებული თევზივითაა. ვახდა საწყალი, ფერი წაუვიდა, სულ ტირის... (პაუზა) ერთმალაი აღექსიჩი! ვარას ამბავი თქვენ სხვებზე უეთესად იცით... დიდი ხანია ვოცნებობდი... ერთი სიტყვით, მუდამ მინდოდა, რომ ცოლად გეთხოვათ და თქვენც, მგონი, უარზე არ იყავით... (ანას შარლოტაზე ანიშნებს და ისინი ვადიან) მე მგონი, მოგწონთ ჩემი ქალიშვილი? გამაგებინეთ, რაშია საქმე? რატომ გაურბინართ ერთმანეთს?

ლოპახინი. თვითონაც არ ვიცი... რაღაც უცნაურად ხდება უველაფერი... თუმცა, დრო თუ დავეჩრჩა და მატარებელზე არ გადავავიანდება — მე მზად ვარ, თუნდაც ახლავე... არა, მართლა! გადაწუვით და მოვრჩით ამ საქმესი ისევ თქვენ თუ დამეხმარებით, თორემ უთქვენოდ ვერაფერს გავხლები!

ლუბოვ ანდრეევნა. ჩინებულია ამ ამბავს სულ ერთი წუთი დასჭირდება. ახლავე დაუფახებ.

ლოპახინი. ბარემ შამანურიც გვაქვს... (სირჩებს გადახედავს) ვიდაცას დაუღვეია... (იაშმა ჩაახველებს) ამაზე იტყვიან, გამოწრუსაო!

ლუბოვ ანდრეევნა. (გამოცოცხლებული) —

შესანიშნავია... ჩვენ ვავალი. იაშა, *plaza* ახლავ დაუფახებ. (კარში) ვარინჯა! თავი გაანებე უველაფერს და მოდი! გესმის ვერაფერს? (იაშსთან ერთად გადის) *განგაღობა*

ლოპახინი. (საათს უყურებს) — მაშ ასე... (პაუზა)

(კარს უკან თავშეკავებული სიცილი და ჩურჩული ისმის. შემოდის ვარა)

ვარა. (ბარჯს მიამურებს და ათვალერებს) — სად დაიკარგა, ნეტა?

ლოპახინი. რას ეძებთ?

ვარა. თვითონ ჩავდე და აღარ მახსოვს. (პაუზა)

ლოპახინი. საით აპირებთ ახლა, ვარვარა მიხილოვან?

ვარა. რაგულინებთან წავალ... მეუქნავედ დავუღვები. უკვე მოველაპარაკე.

ლოპახინი. ეგ სად, იაშნეოვი? იქამდე, თუ არ ვცდები, იმსოცდაათი ვერსია? (პაუზა) მაშ ასე... ამ სახლში ცხოვრება დამთავრებულია.

ვარა. (ისევ ბარჯს ათვალერებს) — სად დაიკარგა ის ოხერი? ზანდუქში ხომ არ ჩავდე?... ამ სახლში ცხოვრება მართლა დამთავრდა, და აღარასოდეს არ განმეორდება...

ლოპახინი. მეც დღეს ხარკოვი მივდივარ. თქვენებთან ერთად, იმავე მატარებლით... აქ კი ეიხლოდეს ვტოვებ, მოურავად მუყოლება, უკვე გავურავდი.

ვარა. კარგია, რა უპირს... (პაუზა)

ლოპახინი. შარშან ამ დროს გვარიანად თოვდა. ახლა კი შვინი ამინდია. ერთია მხოლოდ, მაინც ყინავს... არანაკლებ სამი გრადუსი იქნება.

ვარა. შესაძლოა... თერმომეტრისთვის არ შემინებდეს... (პაუზა) თანაც, გატეხილია ჩვენი თერმომეტრი. (პაუზა).

(გარედან ვიღაც დაიძახებს: „ერმოლია აღექსიჩი!“)

ლოპახინი. (თითქოს ამ ძახილს ელოდა) — ახლავე! (სწრაფად გადის) (ვარა ძირს დეშეშება, თავს კარგზე მიიღებს და გულამოჭდარი ქვითიწებს. ბარჯს ათვალერებს. ფრთხილად შემოდის ლუბოვ ანდრეევნა)

ლუბოვ ანდრეევნა. რა? (პაუზა)

წავიდეთ, შტორი, დროა...

ვარა. (აღარ ტირის, თვალდებს იმშრალებს) — მო, დედიკო, წავიდეთ. დღეს კიდევ მოვასწრებ რაგულინებთან მისვლას...

ლუბოვ ანდრეევნა. (კარს ვასძახებს) — ანა ჩაიცი, მივდივართ! (შემოდინ ანა, შემდეგ გაევი, შარლოტა ივანოვნა. გაევეს პალტო აცვია, მხარზე ყაბალახი აქვს გადავებული. შემოდინ მოსამსახურეები, მეეტლები. ეიხლოდვი ბარჯს უტრიალებს) აბა, გზას გავუდგეთ!

ანა. (სიხარულით) — გზას გავუდგეთ!

გაევი. მეგობრებო! ჩემო ძვირფასო, საყვარელო მეგობრებო! ვტოვებ რა სამუდამოდ ამ სახლს, არ შემძლია არ გამოვქვა ის გრძნობა, ის მღელვარება, რომელიც...



ანა. (საყვედურით, მუდარით) — ძია
 ვარა. ვაჩერდი, ძია, რა საპიროს?
 გავეი. (ხიზწყინდარით) — დუღეტით კუთხიდან
 ფურტყავ... ჰო, კარგი... ჩუმად ვარ, ჩუმად!
 შემოდის ტროფიმოვი, მერე ლოპახინი)

ტროფიმოვი. დავიძრათ, ბატონებო. რაღას ვუ-
 ცდით?
 ლოპახინი. ეპიხოლოვ, პალტო!
 ლუბოვ ანდრეევნა. ერთ წამს ჩამოვყდები...
 ასე შეგონია, ეს სახლი არასოდეს არ მინახავს:
 რანაირი კედლებია, ქერი, ფანჯრები... როგორ
 მინდა უოველივე ეს დავიმახსოვრო!

გავეი. მახსოვს. ექვსი წლის რომ ვიყავი, წმინდა
 სამების დღეს ამ ფანჯრის რაფაზე ვიჭექი და
 მამაჩემს ვუუბრებდი, ეკლესიაში ზილიოდა...
 ლუბოვ ანდრეევნა. ბარგი გაიტანეს?
 ლოპახინი. ჰო, გაიტანეს. (ეპიხოლოვს, რომე-
 ლოდ პალტოს აცემს) აბა, შენ იცი, კარგად მი-
 ხედე აქაურობას!

ეპიხოლოვი. (ხმაჩაბლენით) — არხეინად იყავით,
 უველაფერი რაზე იქნება!
 ლოპახინი. ხმა რატომ ჩაგზღერია?
 ეპიხოლოვი. წყალი დავლიე და რაღაც გადავა-
 ყოლი!

იანა. (ტუჩამრეხვით) — უმეცრება!
 ლუბოვ ანდრეევნა. აი, წავალით ახლა და ამ
 სახლში ერთი სულიერიც არ დარჩება.

ლოპახინი. მხოლოდ გაზაფხულამდე.
 ვარა. (დუღითან ქოლგას ამოაძრობს, მოიქნევს.
 ლოპახინი განზე ვახტება) — როგორ გეკადრე-
 ბათ... არც მიფიქრია.

ტროფიმოვი. წავიდეთ, ბატონებო, წავიდეთ!
 მტარებელი საცაა ჩამოდგება.

ვარა. (ტროფიმოვს) — აი, თქვენი კალოში, ჩემო-
 დნის გვერდით ევარა. (ტრემლი მოადგება) რა
 მოსვრილია, რას ვავს!

ტროფიმოვი. (კალოშს იცემს) — დაურჩარეთ,
 დროა!

გავეი. (ღელავს, ლამის ატირდეს) — მტარებელი...
 სადგური... დუღეტით შუაში.. თავისუფალ
 კუთხეში ვურტყავი..

ლუბოვ ანდრეევნა. აბა, წავიდეთ!
 ლოპახინი. ყველანი აქ ხართ? იქით ხომ არავინ
 დარჩენილა?
 (მარცხენა კარს ვასაღებთ ეტყავს) გამბრანდით
 ახლა!

ანა. მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, ძველო ცხო-
 ვრებავე!

ტროფიმოვი. ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს!
 (ანასთან ერთად გადის)
 (ვარა ოთახს თვალს მოაუღებს და აუჩქარებლად
 მათ მიყვება. გადიან იანაც და შარლოტაც,
 რომელსაც ხელში ფინია უჭირავს).

ლოპახინი. მამ, გაზაფხულამდე! გადი, ბატონე-
 ბო! ნახვამდის! (გადის) ლუბოვ ანდრეევ-
 ნა და გავეი მარტო რჩებიან. ისინი თითქო
 ამას ელოდნენო: გადაეხვევიან ერთმანეთს და
 ჩუმად, თავშეკავებულად ქვითინებენ)

გავეი. (სასოწარკვეთილი ჩურჩულით) — დაო...

ჩემო საყვარელო დაო...
 ლუბოვ ანდრეევნა. ო. ჩემო უყვედურყო,
 ჩემო მშვენიერო, დაუიწყარო უმჯობესეს
 სიოცხლევ, ჩემო ახალგაზრდობავ, ჩემო სიხა-
 რული და ბედნიერებავე! მშვიდობით! მშვიდო-
 ბით!

(ანას ხალისიანი ხმა: „ღელა!“
 ტროფიმოვის მხიარული, მგზნებარე შეძახილი:
 „აუუ!“)

ლუბოვ ანდრეევნა. უყანასკენლად... უყანას-
 კენლად მინდა შევხედო ამ კედლებს, ამ ფანჯ-
 რებს... ამ ოთახში განსვენებულ დედარემს უყ-
 ვარდა უოფნა...

გავეი... დაო... ჩემო საყვარელო დაო...
 (ანას ხმა: „ღელა!“
 ტროფიმოვის ხმა: „აუუ!“)

ლუბოვ ანდრეევნა. მოვდივართ!
 (გადიან)
 (სცენა ერთხანს ცარიელია. ვარედან გარკვევით
 ისმის როგორ კეტევენ კარებს, დაარბებს, რო-
 გორ დაძიებებიან ეტლები... მერე სრული სიჩუმე
 დასაბდებურებს. ამ სიჩუმეში ისევ ცულის კა-
 კუნი შემოიჭრება: ბაღში ხეებს ჩხავვენ. ეს კა-
 კუნი საოცრად ობლად და მწუხარედ ეღერს...
 მერე ფეხის ხმა ისმის. შემოდის ფირსი. მას ჩვე-
 ულებრივად შავი პიჯაი და ოთხი თილვეტი აც-
 ვია. ძლიერ მოლასსებს. იგი ავადა)

ფირსი. (მარცხენა კართან მიდის და სახეღურს
 ხელს მოკიდებს) — ჩაუკეტიათ, ყველანი წასულ-
 ან. (დღიანზე ვღება) მე კი დამივიწყეს... რას ოხამ?
 დავდები აქ — და ვიქნები ჩემთვის... ლეონიდ
 ანდრეიჩი, ალბათ, ისევ ზაფხულის თხელ პალტო-
 ში გაემგზავრა... (შეწუხებული ამოიხიზავს) მეც
 ვერ მივხედე...მე, ახალგაზრდობავ!.. (ბურტყუ-
 ნის ვაუგებრად) ისე გაიარა ცხოვრებამ, თითქო
 არც მიცხოვრიაო... (წამოწევება) აი, დავისვენებ
 ცოტას და... ეს ოხერი ღონეც რომ გამოშლია?!
 აღარაფერი დაგარჩენია, ბებერო. აღარაფერი...
 ჰოდა, იყავი ასე, შე დოჟლაპიავ! (უძრავად
 წეებს).

(უცებ შორიდან გაწვეტილი სიმის შემზარავი
 ხმა შემოიჭრება. იგი თითქო მალღიდან მოდის
 — მწუხარე, ნაღვლიანი — და თანდათან წუდ-
 ბა. სცენაზე სრული სიჩუმეა. მხოლოდ ბაღიდან
 შემოჭრილი ცულის რიტმული კაკუნი არღვევს
 მუდღერობას).

ფარდა

თარგმანი მიხეილ ქვლივიძემ